MES 2 22 0000050198

21/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.12.2021 - 31.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 01:15სთ (31.12.2021)
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი (I, II, IV, V, VI,VII, VIII)
საბჭოს თავმჯდომარე: ნიკა თიკანაშილი (II)
საბჭოს მდივანი: მაკა კაჭარავა (I, II)
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (III, IV, V, VI, VII, VII)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

3. **ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
4. **ელენე ჟურავლოვა** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.
16. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

სხდომაზედამსწრეპირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკა გიგაური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ლაშა მარგიშვილი	ცენტრის დირექტორის მოადგილე
4	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
5	სოფიკო ქურასბედიანი	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	გუგული მაღრაძე	**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი	I
2	რევაზ ჯორბენაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,	I, II
3	მარეხ დევიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ირმა გრძელიძე		თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	I
5	ამირან ბერძენიშვილი		პროფესორი	II
6	ლია წულაძე		ასოცირებული პროფესორი	II
7	იაგო კაჭკაჭიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
8	ნინო ქიმერიძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების ხელმძღვანელი,	II
9	ქრისტინე ჩიხლაძე		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, აკრედიტაციის კვლევებისა და შეფასების განყოფილების მთავარი სპეციალისტი	II

10	დავით კერესელიძე		აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	**III, IV**
11	ეკატერინე აზარაშვილი		წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე	**III, IV**
12	ეკატერინე ბაკარაძე		ხარისხის კულტურის კომიტეტის აღმასრულებელი მენეჯერი	**III, IV**
13	ხათუნა საგანელიძე	**ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი**	მედიცინის სკოლის წარმომადგენელი ხარისხის კულტურის კომიტეტში	**III, IV**
14	ლანა ბოკუჩავა		მედიცინის სკოლის ვიცე დეკანი	**III, IV**
15	ვახტანგ სურგულაძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**III, IV**
16	გიორგი ბერია		კლინიკური უნარების ლაბორატორიისა და ტრენინგ ცენტრის ხელმძღვანელი	**III, IV**
17	გურამ აბესაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**V**
18	ირმა დიხამინჯია		ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი	**V**
19	დავით ზაქარაია		ასისტენტ-პროფესორი, დეკანის მოადგილე	**V**
20	კახი კოპალიანი	**სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროფესორი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**V**
21	რომეო გალდავა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	**V**
22	ვლადიმერ ღლონტი		ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი	**VI, VII**
23	ლევან ჯაყელი		ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	**VI**
24	ირაკლი გორგილაძე		ბსუ იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის	**VI**

		სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	
25	ირაკლი მანველიძე		პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	**VI**
26	ნათელა წიკლაშვილი		ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	**VII**
27	ასიე ცინცაძე		ბსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი	**VII**
28	მურმან ცეცხლაძე		პროგრამის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი	**VII**
29	გია ნოდია	**სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**	პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი	**VII**
30	გიორგი გვალია		ვიცე-რექტორი, პროფესორი	**VII**
31	ნინო ჟვანია		უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი	**VII**
32	ნინო მატარაძე		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფესორი	**VII**
33	მაკა ლაშხია		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფესორი	**VII**
34	გიორგი ოდოშაშვილი		მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი	**VII**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	სოფიო მიდელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ჯოვანა აბლოთია	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ელენე გავაშელიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ანა კირვალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ეკა აბჟანდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

9	ნინო ქიმერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	ირაკლი მანველაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
13	ხვიჩა ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
14	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VI
15	ნინო ტალიკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V, VII
16	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
17	ეკა დარბაიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
18	ირაკლი ნოდია	(ჩაერთო „ზუმით“)	VI
19	დავით სიხარულიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
20	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
21	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	VII
22	ნანა მაჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
23	ივანნა მაჩატიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
24	დავით ბრაგვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
25	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII
26	თამარ ღუღუნიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	VIII

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი სპროექტი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტების ანალიზი და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;

5. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;
6. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
კი

ცენტრის წარმოადგენელმა განაცხადა, რომ 2021 წლის 23 დეკემბერს ცენტრში შემოვიდა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის №16443/01-06-03 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის №1406814, 23.12.2021), რომლითაც დაწესებულებამ მოითხოვა ,,კონფლიქტოლოგიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილ სააკრედიტაციო განაცხადზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა. ცენტრმა დააკმაყოფილა საგანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნა და ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 დეკემბრის №1435661 ბრძანების საფუძველზე შეწყვიტა ადმინიატრაციული წარმოება. აღნიშნულის შესაბამისად ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა სხდომის დღის წესრიგიდან ამოღებულიყო სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტების ანალიზი და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;
5. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პირველი საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტების ანალიზი და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კონფლიქტების ანალიზი და მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 26.07.2012, გადაწყვეტილება N273
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	კონფლიქტების ანალიზი და მართვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები – არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძისგამზ. №1, № 3, №8, თსუ-სკორპუსები I, II, VI; თბილისი, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, ნინო ინასარიძემ, მარიამ შენგელიამ, თეონა მატარაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო და "კონფლიქტების ანალიზი და მართვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შესახებ” განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 4 ნოემბრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა დისტანციური ვიზიტი 2021 წლის 15 და 16 ნოემბერს ZOOM პლატფორმის მეშვეობით. აკრედიტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამოსამზადებელი შეხვედრა ასევე ZOOM პლატფორმის ფორმატში, სადაც განხილული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი მასალების შინაარსი. შეხვედრის ფარგლებში, მოხდა ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილება და სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგში სესიების მიხედვით დასასმელი კითხვების დაზუსტება აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. ვიზიტის მიმდინარეობისას, დღის წესრიგის მიხედვით, ორი დღის განმავლობაში ჩატარდა გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ასევე, ონლაინ რეჟიმში შემოწმდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საბიბლიოთეკო რესურსებისა და ლიტერატურის ხელმისაწვდომობა, ასევე LMS-ის ელექტრონული სასწავლო პორტალის და Moodle-ის ფუნქციონირება და სამეცნიერო ბაზებთან წვდომა. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუები განხორციელდა კონსტრუქციულად, ეთიკური ნორმების დაცვით; ექსპერტთა ჯგუფი ხელმძღვანელობდა აკრედიტაციის სტანდარტების აღწერილობით/შეფასების კრიტერიუმებით კითხვების დასმის პროცესში. შეხვედრების დასრულების შემდეგ ექსპერტებმა იმსჯელეს, შეაფასეს მიგნებები და გაუზიარეს უსდ-ს წარმომადგენლებს.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტების ანალიზი და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და კვლევის სფეროები იყოს მეტად ინტერდისციპლინური, მისანიჭებელი არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად.

2. რეკომენდებულია, გაძლიერდეს პრაქტიკული და დარგობრივი სასწავლო კომპონენტი, რათა პროგრამამ გამოუმუშავოს დოქტორანტებს კონფლიქტების დარეგულირების სფეროში კრიტიკული აზროვნებისა და პროფესიული უნარჩვევები, როგორიცაა: კონფლიქტების პრევენციის, მოლაპარაკებების წარმართვის, მედიაციის, ფასილიტაციისა და სხვა.

3. რეკომენდებულია, გადაიხედოს კურიკულუმის რუკა და რელევანტურად შეფასდეს სწავლის შედეგების მიღწევა და მიღწევის დონეები.

4. რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში მითითებული დაშვების წინაპირობები, ენობრივი კომპეტენციის ნაწილში, შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.

5. რეკომენდებულია, სავალდებულო სასწავლო კომპონენტს დაემატოს საგანი თანამედროვე სოციალური თეორიების მიმართულებით.

6. რეკომენდებულია, კურსის ძირითადი ლიტერატურა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ინგლისურენოვანი წყაროებით და პროგრამამ უზრუნველყოს სხვა უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა (საჭიროების შემთხვევაში) დაშვების ენობრივი წინაპირობიდან გამომდინარე.

7. რეკომენდებულია, დარგობრივი სემინარის სილაბუსში გასწორდეს შუალედური და ფინალური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები.

8. პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებისათვის, რეკომენდებულია გამრავალფეროვნდეს დოქტორანტების საკვლევი თემატიკა და ხელმძღვანელების რაოდენობა, რათა პროგრამამ სრულად მოიცვას საკვალიფიკაციო ჩარჩოს დეტალური სფეროს მიმართულებები.

9. პროგრამის მდგრადობისა და მისანიჭებელი არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის მოთხოვნების შესაბამისად, აუცილებელია პროგრამის ადამიანური რესურსი შეივსოს დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის აკადემიური ან/და მოწვეული პერსონალით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებას, ასევე სააკრედიტაციო სტანდარტის (საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია) უზრუნველყოფას.

10. დარგში მიმდინარე განვითარებების კვალდაკვალ, უსდ-მ რეკომენდებულია უზრუნველყოს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მრავალფეროვანი ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით საბიბლიოთეკო ფონდის შევსება - შეძენაგანახლება, რათა უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა.

11. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ფარგლებში, ინფორმაციის სისტემური შეგროვება, დამუშავება და ანალიზი რეალურად ემსახურებოდეს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრას და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

12. რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფარგლებში, გამახვილებულ იქნას ყურადღება პროგრამის მახასიათებლებზე, პროგრამაზე სიღრმისეული დაკვირვებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის მისანიჭებელ არაკლასიფიცირებულ კვალიფიკაციასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იზიარებს გაცემულ რეკომენდაციებს. მნიშვნელოვანია, რომ კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო პროგრამა სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისადაა გაწერილი დეტალურ სფეროში: (0319), სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, არაკლასიფიცირებული. პროგრამის მიზნების პირველ პუნქტში მითითებულია, რომ კურსდამთავრებულს ექნება დარგობრივი თეორიული ცოდნა, რომელიც დაფუძნებული იქნება უახლეს კვლევით მონაცემებზე. ვინაიდან ეს პუნქტი ხაზს უსვამს დარგობრივ ცოდნას, რაც არაკლასიფიცირებული დეტალური სფეროს მიხედვით გულისხმობს სოციუმის ცოდნას, რასაც დოქტორანტი იძენს კვლევის პროცესში: სოციუმის ქცევის წესებსა და კონკრეტულ ქცევებზე საზოგადოებაში დაკვირვებისა და კვლევის პროცესში, მონაცემთა შეკრებისა და ანალიზისას, შესაბამისად, დასკვნების შემუშავებისას, ეს კონკრეტულად დამოკიდებულია უკვე კვლევით პროექტსა და მის შინაარსზე. თუ დოქტორანტს ინტერდისციპლინური დარგობრივი კომპეტენციების არამკამარი წინარე ცოდნა ექნება, რაც გამოვლინდება კვლევის პროცესში, ის ამას გაიფართოვებს ექსპტრაკურიკულური აქტივობებით სამაგისტრო საფეხურზე თუნდაც რომელიმე მომიჯნავე სფეროდან.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, ეს რეკომენდაცია არ ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ თემის დამუშავებისას პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების პროცედურებს, რომელიც თანხმდება ხელმძღვანელთან და ტარდება სხვადასხვა ინსტიტუციებში. წინამდებარე მსჯელობა იმ შემთხვევაშია მისაღები, თუ ექსპერტები გულისხმობენ პრაქტიკის კურსის სეპარატულად ჩადებას კურიკულუმში, წინამდებარე კურიკულუმში ცალსახად არ მოიაზრება ცალკე პრაქტიკა დოქტორანტებისთვის. თუ პრაქტიკა გაგებულია როგორც კვლევის გამოცდილება, ამ კომპონენტის შესწავლისათვის კურიკულუმში ჩადებულია სასწავლო კურსი - დოქტორანტის სემინარი, ხოლო კვლევითი კომპონენტის ნაწილში დოქტორანტი სამეტაპად გადის ე.წ. კვლევით პრაქტიკას 3 კვლევითი პროექტის ფარგლებში. რაც შეეხება დარგობრივ სასწავლო კომპონენტს, დარგობრივი სწავლებისათვის შესაბამისი საგნების გავლა დოქტორანტს შეუძლია უფრო დაბალი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის არჩევითი (მაგისტრატურა) ექსტრაკურიკულური აქტივობის ფარგლებში. ესეც იმ შემთხვევაში თუ, დოქტორანტს „კონფლიქტოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არ აქვს დამთავრებული.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა დიდწილად გათვლილია კვლევით კომპონენტზე და წარმოაჩენს ცოდნასა და უნარებს, რომელიც საფუძვლად ედება კვლევით პროცესებს (ამავდროულად ითვლება, რომ მას სწავლის წინა საფეხურზე აქვს კვლევისა და დარგობრივი ცოდნის კონკრეტული გამოცდილება), პროგრამაში მინიმალურია სასწავლო კომპონენტის წილი. აქედან გამომდინარე, აკადემიური პერსონალი დიდხანს მსჯელობდა თუ როგორ გადაენაწილებინა სასწავლო კურსების ფარგლებში შედეგების მიღწევის დონეები. ექსპერტების მიერ სანიმუშოდ მოყვანილ სასწავლო კურსს - დარგობრივი სემინარი- ვერ ექნება მეორე დონე, რადგან ის თავისი არსით ემსახურება დოქტორანტის

კვლევითი უნარების შემოწმებას. ანუ დოქტორანტი პროცედურულად თავად ირჩევს დარგობრივი სემინარის თემას დამოუკიდებლად, თავად იღებს გადაწყვეტილებას მისი დაგეგმვისა და შესრულების შესახებ. დამოუკიდებლად ატარებს კვლევებს ან ახდენს მის მიერვე არჩეული კვლევის ანალიზს. დარგობრივი სემინარი მზადდება დარგის სფეროსთან მიმართებით, თუმცა ის არ არის საკვალიფიკაციო ნაშრომთან კავშირში. ეს არის ფაქტობრივად დოქტორანტის პირველი მცდელობა სასწავლო კომპონენტის ფარგლებში შეარულოს პირველი დამოუკიდებელი ნაშრომი და წარადგინოს შესაფასებლად, სადაც შეფასდება მისი კვლევითი უნარები და ახალი ცოდნის აუდიტორიისთვის გადმოცემის უნარი.

მნიშვნელოვანია ასევე მე-4 რეკომენდაცია, რომელსაც დაწესებულება არ იზიარებს, კერძოდ პროგრამა იძლევა იმის საშუალებას, რომ სტუდენტმა ჩააბაროს ერთ-ერთი უცხოური ენა და არ არის კონკრეტულად მითითებული რომელი. უცხოურ ენებს შეზღუდავს არ უწესებს არც დოქტორანტურის საუნივერსიტეტო მინიმალური სტანდარი და არც დოქტორანტურის საფაკულტეტო დებულება. თუმცა უნივერსიტეტში არის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე კიდევ უფრო აზუსტებენ დაშვების წინაპირობათა დეტლებს უცხოურ ენასთან მიმართებაში. არჩევანის უფლება რჩება პროგრამების განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს გადაწყვეტილების მიღებისას. რაც შეეხება წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამას, განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა განზრახ არ შეზღუდა არჩევანი, ვინაიდან პროგრამის არსებობის მანძილზე დიდი იყო მაგალითად იმ სამხედრო პირთა ნაკადი, რომელთაც განათლება მიღებული ჰქონდათ ბუნდესვერის სამხედრო აკადემიაში. ამდენად, პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი სახელმძღვანელოდ იყენებს რა მინიმალურ სტანდარტსა და საფაკულტეტო დებულებას აღარ იმეორებს წინამდებარე დოკუმენტებში დაფიქსირებულ პირობებს; მიიჩნევს, რომ წინამდებარე შეთავაზება უფრო რჩევის ტიპისაა.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, არამართებულად იქნა მიჩნეული სავალდებულო საგნის დამატება, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი გვთავაზობს - თანამედროვე სოციალური თეორიები - რადგან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტებს ეძლევათ საშუალება მსგავსი კურსები გაიარონ უფრო დაბალი საფეხურის კურიკულუმებიდან ექსტრაკურიკულური აქტივობის ფარგლებში (მაგისტრატურა), ისიც იმ შემთხვევაში თუ, გავლილი არ აქვს. ფაკულტეტზე სამაგისტრო დონეზე სოციალური თეორიები ისწავლება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს. ასევე აღინიშნა, რომ წინამდებარე რეკომენდაცია გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის 2.1 კომპონენტის რეკომენდაციასთან. თუ წინა კომპონენტში უცხოური ენის დაკონკრეტების რეკომენდაციას იძლევა ექსპერტთა ჯგუფი, მაშინ წინამდებარე კომპონენტში არ უნდა იყოს შეთავაზებული სასწავლო ლიტერატურა სხვა ენებზე, ან პირიქით. რეალურად კი სხვა ენაზე ლიტერატურის მიწოდება შერჩევით ხორციელდება სასწავლო პროცესში თვით ლექტორის მიერ, თუ სტუდენტი განსხვავებული უცხოური ენით (გარდა ინგლისურისა) აბარებს მისაღებ გამოცდებს.

ხოლო, რაც შეეხება დარგობრივი სემინარის კურსს, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სადოქტორო სემინარის კურსის სილაბუსში საშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც უკვე გასწორდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამა თავისი შინაარსით არის განსხვავებული. საკვალიფიკაციოა ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის არსებულმა მოთხოვნებმა განაპირობეს ცვლილებები პროგრამაში. შესაბამისად, ექსპერტთა

ჯგუფის დამოკიდებულება გარკვეულ საკითხებთან მიმართებით შეიძლება იყოს ანგარიშგასაწევი. რაც შეეხება მე-2 და მე-4 სტანდარტებს, საგანმანათლებლო დაწესებულების მოსაზრებით, პროგრამა სრულად შეეესაბამება სტანდარტის, თუ საჭირო იქნება ცვლილებები შეიცვბელბა როგორც შინაარსი ასევე დასახელება. მნიშნელოვანია ასევე მე-5 სტანდარტი, კერძოდ ის ინდიკატორები, რომლებიც ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება ყველა პროგრამასთან მიმართებით არის ერთგვარი.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბუნდოვანია რეკომენდაცია, კერძოდ დეტალურ სფეროში 0319 მონიშნულია სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, ნარატიულ ნაწილში განმარტებულია, რომ სადოქტორო ნაშრომების თემატიკის გამრავალფეროვნება და ხელმძღვანელთა რაოდენობის გაზრდა უნდა მოხდეს. წარმოდგენილი იყო ოთხი სადისერტაციო ნაშრომი. აქედან ორს ჰყავდა ერთი და იგივე ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენებს მოწვეული ხელმძღვანელები. დოქტორანტების უმეტესობა ემზადება დასაცავად, რომელთა ხელმძღვანელები სხვადასხვაა. პროგრამას ჰყავს ასევე თანახელმძღვანელებიც. დოქტორანტთა სიაში, მითითებულია მათი ხელმძღვანელები (გ.მაღრაძე, ზ.აბაშიძე, რ.ჯორბენაძე, ნ.ბელქანია, ზ.დავითაშვილი), რაც არ იძლევა იმგვარი შეფასების საფუძველს (ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს), რომელიც ექსპერტთა კომისიის წევრებმა დააფიქსირეს. ხელმძღვანელები სტუდენტებს ნამდვილად მრავალფეროვან თემატიკას სთავაზობენ - დაწყებული პიროვნებათაშორისი კონფლიქტებიდან დამთავრებული სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტებით. სტუდენტის მოთხოვნის და თემატიკიდან გამომდინარე შეიძლება დაემატოს თანახელმძღვანელებიც მომიჯნავე სფეროებიდან. უმეტეს შემთხვევაში სტუდენტი თვითონ ირჩევს თემატიკას და მიმართავს თემატიკიდან გამომდინარე შესაბამისი კომპეტენციის ლექტორს.

რაც შეეხება მე-9 რეკომენდაციას, რეზიუმეებიდან ნათლად ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილი სოციალური ან ქცევითი მეცნიერებების წარმომადგენლებია. აქედან გამომდინარე სწავლის სფეროების კლასიფიკატორთანაც თანხვედრაშია. რაც შეეხება დოქტორანტების აკადემიურ ხელმძღვანელებს ამ ამონარიდში მათ მიმართ გადმოცემული მსჯელობა შეურაცხმყოფელია. რეზიუმეებიდან ლექტორთა კომპეტენციაზე საუბარი არაეთიკურია, როდესაც ყველა მათგანი ესწრებოდა შეხვედრას და უმეტესობა ცნობადი სახეა. ასევე ექსპერტებს შეეძლოთ გაცნობოდნენ რეზიუმეებსა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებს უფრო დეტალურად. კომპეტენციაზე დამატებითი ინფორამციის მიღება ექსპერტებს შეეძლოთ ასევე ინტერვიუს მიმდინარეობისას. პერსონალის შევსება სწავლების სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად ნამდვილად დაცულია პროგრამაზე და მომავალშიც აპირებენ კვალიფიციური კადრების მოზიდვას. ალოგიკურია, როცა მესამე სტანდარტში სხვა შეხედულებაა გამოთქმული, რომ სადოქტორო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი აკადემიური რესურსით.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ დოქტორანტებისთვის ლიტერატურით უზრუნველყოფის საკითხზე ზრუნავს უნივერსიტეტი და ფაკულტეტი. გამოყოფილია სპეციალისტი, რომელიც კოორდინაციას უწევს ამ საკითხებს. შესაძლოა ბოლო წლებია (პანდემიის წლები) ფაკულტეტის ბიუჯეტიდან არ შეუძენიათ წიგნები, მაგრამ სხვა წლებში ამის პრაქტიკა იყო. სილაბუსებში აღწერილი სავალდებულო ლიტერატურა ნამდვილადაა განთავსებული თსუ-ის ბუბლიოთეკაში ან მატერიალურად ან ელექტრონული სახით, ნაწილი ატვირთულია დისტანციური სწავლების გვერდზე.

მნიშვნელოვანია ასევე მე-11 რეკომენდაცია, კერძოდ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, უსდ-ს რეგულაციებზე დაყრდნობით, წელიწადში ორჯერ ახორციელებს

სტუდენტთა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთა გამოკითხვას სწავლების ხარისხთან, საჭიროებებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ფაკულტეტი პერიოდულად ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს შეთავაზებულ სასწავლო კურსებთნ დაკავშირებით. მიღებული მონაცემები ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს, რათა დადგინდეს ამოღებული ან არგამოტანილი კურსების განუხორციელების მიზეზის შესახებ. ასევე ხდება იმ მიზეზების დადგენაც, თუ რატომ არ იყო შეთავაზებული სტუდენტებისათვის ბოლო წლების განმავლობაში პროგრამის ზოგიერთი კურს(ებ)ი. გარდა ამისა ყოველ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროგრამის განვითარებისა და მხარდაჭერის მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც პერმანენტულად ჩართულია პროგრამის გაუმჯობესების პროცესში. ბოლო ორი წლის განმავლობაში აქტიურად არიან სტუდენტები ხარისხის გაუმჯობესების თემებში ჩართულები. წინამდებარე პროგრამის აკრედიტაციის ვიზიტამდე უშუალოდ სტუდენტებმა დამოუკიდებლად ჩაატარეს კვლევა აკადემიური პერსონალის შეფასების მიზნით, რომლის შედეგების პრეზენტაცია შედგება საგამოცდო სესიების შემდეგ, ვინაიდან დარჩენილია კვლევის კიდევ ერთი ფაზა, რომელიც უკავშირდება საგამოცდო პროცესებში აკადემიური პერსონალის შეფასებას.

რაც შეეხება მე-12 რეკომენდაციას, თსუ-ის ხარისხის სამსახური ითხოვს ფაკულტეტებზე პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების ეფექტურობა/არაეფექტურობაზე ინფორმაციას. ხორციელდება პროგრამების კოლეგიალური განმავითარებელი შეფასება, პროგრამების არაგეგმიური მონიტორინგი. სისტემურად ხდება ინფორმაციის შეგროვება პროგრამების სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ. ხორციელდება პროგრამების დადარება ანალოგიურ (საქართველოში არსებულ და უცხოურ) პროგრამებთან. რაც შეხება ექსპერტთა რეკომენდაციაში დაფიქსირებულ მოთხოვნებს, არათუ მათი, არამედ უფრო დეტალური ჩამონათვალის მიხედვით ახორციელებს წინასწარ შერჩეული ჯგუფი საგანმანათლებლო პროგრამის ევალუაციას. გარდა ამისა ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის მიერ უკანასკნელ ხანს შემუშავებულია და ამოქმედებულია ინსტიტუციური ეფექტიანობის შეფასების სპეციალური ინდიკატორები კონკრეტულ საკვანძო მიმართულებებში, რომლის ელექტრონულ რეჟიმში ტრანსპონირებაზე მუშაობს სამსახური. შეფასების შემდეგი ეტაპია ანალიზი, რომელსაც მოსდევს მონიტორინგის პროცესი, რომლითაც ზუსტდება რეკომენდაციების განხორციელების სიზუსტე და შესაბამისად, ეფექტიანობა.

ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამაზე წარმოდგენილი ადამიანური რესურსი ნამდვილად ძლიერია და აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებაში, თუმცა საჭიროებს მრავალფეროვნებას. მსგავსი მიდგომაა დისერტაციებთან დაკავშირებით, ნამდვილად ხარისხიანია და ისისნი ადასტურებენ პროგრამის მდგრადობას, თუმცა სამომავლოდ საჭიროებს მრავალფეროვნებას. მნიშვნელოვანია იმ ადამიანების ჩართულობა, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებებით მუშაობენ და არა მხოლოდ პოლიტიკისა თუ სოციოლოგიის მეცნიერებების წარმომადგენლების.

ექსპერტმა ასევე განმარტა უცხო ენასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო საფეხურისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სრულყოფილი კვლევის ჩატარება შეუძლებელია უცხო ენის შესაბამისი ცოდნის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით კონფლიქტების ანალიზისა და მართვის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ერთ-ერთ პირობად მოთხოვნილია უცხო ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, რომელიც დასტურდება გამოცდით ან B2 დონეზე უცხო ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატით, რაც ითვალისწინებს იმ სტუდენტების ინტერესებს, რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ დონეზე უცხო ენის ცოდნა და დამატებით აღარ საჭიროებენ გამოცდაზე გასვლას. თუმცა, პროგრამაში არ არის გამოკვეთილი რომელი უცხო ენის/ენების ჩაბარება შეუძლია ჩარიცხვის მსურველს, რაც ქმნის ბუნდოვანებას. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, „დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა“. შესაბამისად, პროგრამაში და დოქტორანტურის დებულებაში მითითებული დაშვების წინაპირობები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ერთმანეთთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა 2.3 კომპონენტში არსებული რეკომენდაცია და განმარტა, რომ სილაბუსის მიხედვით ორივე კომპონენტში მითითებულია მინიმალური ზღვარი. შესაბამისად სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, თუ რას გულისხმობდნენ მოცემულ რეკომენდაციაში. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით იკითხა, თუ რა მდგომარეობა იყო 120 ნ არსებობის დროს და მნიშვნელოვნად შეიცვალა თუ არა მდგომარეობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა პერსონალთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ თუ მხოლოდ პერსონალის შევსებასა და გამდიდრებაზეა საუბარი, რამდენად არის მოცემული კომპონენტი ნაწილობრივი შეფასების.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ დოქტორანტურისათვის ყველაზე მნიშნელოვანი არის კვლევითი კომპონენტი, შესაბამისად, ძირითადი სასწავლო ლიტერატურაც არის სამეცნიერო თემატიკის. საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ ამის ფონზე რამდენად არის ვალდებულება და საჭიროება, რომ უნივერსიტეტს მუდმივად ჰქონდეს აღნიშნული ლიტერატურა ნაბეჭდი სახითაც. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა სთხოვა ექსპერტებს ესაუბრათ დაცული დისერტაციების შესახებ. ამასთან, საბჭო წევრმა ითხოვა პროგრამაზე არსებული სტუდენტებისა და ჩართული პერსონალის რაოდენობის დაზუსტება.

საბჭოს წევრმა, ასევე დააზუსტა თუ როგორ ხდება პროგრამაზე ჩარიცხვა. ასევე აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ დისერტაციაში მითითებულია, რომ დაცულია ავტორის სტილი, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია 57 დოქტორანტი და 8 ხელმძღვანელი არის მოცემული თვითშეფასების დოკუმენტში. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა მოცემული 8 ხელმძღვანელი არის თუ არა დაწესებულების აფილირებული პროფესორი და რამდენად რელევანტური მიმართება 8 ხელმძღვანელის ყოლა 57 დოქტორანტზე. გარდა ამისა, პროგრამაში მოცემულია, რომ დაცვისთვის აუცილებელია პუბლიკაცია, აქედან გამომდინარე მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა დააზუსტა პროგრამის ფარგლებში ყველა მიმართულებით შესაძლებელია ნაშრომის თემატიკის განსაზღვრა, თუ დაწესებულებას აღებული აქვს ერთი კონკრეტული თემატიკა. როდესაც საუბარია სოციალური მეცნიერებების დოქტორის ხარისხის მინიჭებაზე, შთაბეჭდილება რჩევა, რომ განხილულია სრულად სოციალური მეცნიერებები, რაც საკმაოდ ფართო თემაა. შესაბამისად, უმჯობესი იქნება დაწესებულების მხრიდან დაზუსტდეს თუ რა თემების არჩევაა შესაძლებელია სადოქტორო ნაშრომისთვის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა დასკვნაში მოცემული მე-2 და მე-5 რეკომენდაცია და განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამებზე აქცენტი ძირითადად კვლევით კომპონენტზეა და იმითიც ფასდება თუ რამდენად არის ფოკუსირებული კონკრეტულ კვლევაზე. შესაბამისად, ამ ფონზე რამ განაპირობა პრაქტიკული და სასწავლო კომპონენტის გაზრდისა და სასწავლო კურსის დამატების შესახებ რეკომენდაციის განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დისერტაციებთან დაკავშირებით განმარტა, რომ დისერტაციების ხარისხი სრულად აკმაყოფილებს საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. რაც შეეხება სტუდენტთა რაოდენობას, პროგრამაზე სწავლობს 57 დოქტორანტი, თუმცა მათ შორის არიან არა აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებიც. მნიშვნელოვანია, რომ ამ კუთხით დაწესებულებას ყველაფერი შესაბამისად აქვს განსაზღვრული და არ იკვეთება არანაირი ხარვეზი.

მნიშვნელოვანია ასევე ზოგადად სოციალური მეცნიერებების საკითხი, კერძოდ აღნიშნული მიმართულება საკმაოდ ფართოა. და რა თქმა უნდა შეუძლებელია, რომ პროგრამაში სრულად იყოს მოცული ყველა სფერო, ამიტომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ პროგრამაში სრულად იყოს ასახული დეტალური სფერო. უნივერსიტეტს აქვს რესურსი იმისა, რომ პროგრამა მეტად მობილურ და საინტერესო გახადოს. თუ ერთი მიმართულებით, კერძოდ პოლიტიკური მეცნიერებების კუთხით განხორციელდება კვლევები, მაშინ სახეზე არ იქნება არაკლასიფიცირებული კვალიფიკაცია და განსაზღვრული იქნება კონკრეტული მიმართულების კვალიფიკაციის მინიჭება. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია, რომ მოიცვას 0314-ის მიმართულებები. კონფლიქტოლოგია სხვა დეტალურ სფეროს ეხებოდა, ხოლო სოციალური მეცნიერების სხვას. სწორედ აქედან გამომდინარეობს ექსპერტთა რეკომენდაციაც.

ექსპერტმა ისაუბრა ასევე დარგობრივ სემინართან დაკავშირებთ და განმარტა, რომ საუბარი იყო მინიმალურ საკმარის შეფასებაზე, რაც ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ იყო 31 ქულა, ხოლო სილაბუსში მითითებული იყო 51. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს მოცემული რეკომენდაცია და მოახდინეს ტექნიკური ხარვეზის გასწორება.

2.2 კომპონენტთან მიმართებით ექსპერტმა განმარტა, რომ მიზნებსა და სწავლის შედეგებში ხაზგასმული იყო, რომ აუცილებელია სტუდენტს გამოუმუშავდეს ასევე დარგობრივი კომპონენტი, ამიტომ კითხვა ჩნდება როგორ გამოუმუშავებს თუ არ არსებობს შესაბამისი სასწავლო კურსი, ვინაიდან თეორიული ნაწილი ვერ იქნება იმდენად დატვირთული, რომ პრაქტიკულ შედეგებზე გაიყვანოს სტუდენტი. რაც შეხება სოციალური თეორიის მიმართულებით სასწავლო კურსების დამატებას, აქაც საუბარია დარგობრივი კომპეტენციის დაკმაყოფილებაზე.

რაც შეეხება ლიტერატურის საკითხს, რეკომენდაციის აუცილებლობა გაჩნდა მას შემდეგ, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა გარკვეული ლიტერატურა. გარდა ამისა, ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამა არ თანამშრომლობს ბიბლიოთეკასთან და არ განუხორციელებია დარგობრივი ლიტერატურის შეძენა. შესაბამისად, აღნიშნული მიგნება ცალსახად წარმოადგენს რეკომენდაციას, ვინაიდან პროგრამა უნდა ზრუნავდეს წიგნადი ფონდისა და ლიტერატურის შევსებაზე, რაც მოიცავს არა მარტო ლიტერატურის შეძენას, არამედ მის გაციფრულებასაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძველ კლასიფიკატორში აღნიშნული პროგრამა იყო 0702 ქვედარგში, რაც ავტომატურად გულისხმობდა იმ სადისერტაციო ნაშრომების სპეციფიკას, რომელიც გააჩნია უკვე დაცულ სადისერტაციო ნაშრომს. შესაბამისად, როდესაც კლასიფიკატორმა განიცადა ცვლილება, პროგრამა მოერგო აუცილებელ ცვლილებებს. აღნიშნული წინააღმდეგობაში არ მოდის დღეს პროგრამის ადგილთან და კვალიფიკაცია ნამდვილად შესაბამისია. რაც შეეხება სტრუქტურას, დაწესებულება იზიარებს იმ ნაწილს, რომ სადოქტორო საფეხურზე შედარებთ ნაკლები იყოს სასწავლო კომპონენტი. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით პროგრამა სრულად არის გამართული მისი რესურსებიდან გამომდინარე.

რაც შეეხება რაოდენობას, წარმოდგენილი სტუდენტთა რაოდენობა არ არის აქტიური სტუდენტების რაოდენობა. ამასთან პროგრამაზე წარმოდგენილ პროფესორთა 98% არის აფილირებული და შესაბამისად, ის რესურსი, რომელიც უნივერსიტეტშია სრულად ხმარდება დოქტორანტებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის ნაწილი პროგრამის წარმომადგენლების მიერ გაციფრებულია. გარდა ამისა, პროგრამისთვის განსაზღვრული სახელმძღვანელოები ასევე შენახულია უნივერსიტეტის მე-2 კორპუსში. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველა ახალი წიგნი დაწესებულებას ეგზავნება უცხოელების მიერ. რაც შეეხება პუბლიკაციებს, დისერტაციის დაცვამდე აუცილებელია დოქტორანტს გამოქვეყნებული ჰქონდეს ორი ნაშრომი მაღალრეიტინგულ ჟურნალში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს არსებობის შემთხვევაში დამატებით დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება ან კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადე, რომ კითხვები აღარ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (2021 წლის 30 დეკემბრის) თარიღით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 17:12

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტების ანალიზი და მართვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები, შესაბამისად განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები და კვლევის სფეროები დაზუსტდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად.
2. რეკომენდებულია, პროგრამის შედეგები დაზუსტდეს 1.1. ქვესტანდარტში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად.
3. რეკომენდებულია, კურსის ძირითადი ლიტერატურა არ შემოიფარგლოს მხოლოდ ინგლისურენოვანი წყაროებით და პროგრამამ უზრუნველყოს სხვა უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობა (საჭიროების შემთხვევაში) დაშვების ენობრივი წინაპირობიდან გამომდინარე.
4. რეკომენდირებულია, პროგრამის განახლებული მიზნების უზრუნველსაყოფად, სადოქტორო საკვლევი თემატიკების გამრავალფეროვნება.
5. რეკომენდირებულია, პროგრამის განამხორციელებლი პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ზრდა (საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ Scopus / Web of Science ჟურნალებში) პროგრამის კორექტირებული მიზნების შესაბამისად.
6. რეკომენდირებულია, უსდ-მ გააქტიუროს ქმედითი მექანიზმები პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით.
7. რეკომენდირებულია, შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედება პროგრამის დახვეწისა და განვითარების მიზნით.
8. რეკომენდებულია, პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების ფარგლებში, მეტად იქნას ყურადღება გამახვილებული პროგრამის მახასიათებლებზე, პროგრამაზე სიღრმისეული დაკვირვებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებისათვის მისანიჭებელ არაკლასიფიცირებულ კვალიფიკაციასთან მიმართებით.
9. გადაიხედოს იდენტური სათაურისა და კრედიტების მოცულობის მქონე სასწავლო კურსები (პროფესორის ასისტენტობა) და არჩევით ნაწილში მოცემული სასწავლო კურსი მისი შინაარსიდან გამომდინარე წარმოდგენილი იყოს სხვა სახელწოდებით.

რჩევები:

1. სასურველია, სადოქტორო პროგრამასა და დოქტორანტურის დებულებაში მითითებული დაშვების წინაპირობები, ენობრივი კომპეტენციის ნაწილში, შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან.
2. სასურველია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია განახლებული პროგრამის შესაბამისად.
3. სასურველია წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რომელიც გადამოწმდება საუნივერსიტეტო გამოცდით/გასაუბრებით, ხოლო გამოცდისაგან გათავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს დამადასტურებელ სერტიფიკატს ენის B2 დონეზე ფლობის შესახებ.

საბჭოს გადაწყვეტილებით, 1.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“. 2.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა არ შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება. და 3.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-3 სტანდარტის შეფასება განისაზღვრა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“. 4.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, ხოლო 4.3 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „შესაბამისია

მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-4 სტანდარტის შეფასება განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. 5.1 და 5.3 კომპონენტების შეფასება ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად მე-5 სტანდარტის შეფასება განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „კონფლიქტების მართვისა და ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით

საბჭომ ასევე დააკმაყოფილა საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობა და მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შეყვანის თარიღად განსაზღვრა 2021 წლის 30 დეკემბერი.

17:12- საბჭოს სხდომა დატოვა ნათია ზედგენიძე-ჯიშჯარიანმა

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მე-2 საკითხის განხილვისას სხდომას წარუძღვა საბჭოს წევრი, ნიკა თიკანაშილი.

17:13- საბჭოს სხდომას შეუერთდა გაიანე სიმონია

მეორე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 26 ივლისის №276 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძისგამზ. N 8, N14, თბილისი, კორპუსიVI, IV, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ, ნინო ინასარიძემ, მარიამ შენგელიამ, თეონა მატარაძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 10 დეკემბერს დისტანციურად Zoom-ის პლატფორმის საშუალებით ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით. ვიზიტი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პროგრამის (სოციოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას. ექსპერტთა ჯგუფის წინასააკრედიტაციო მოსამზადებელი შეხვედრა გაიმართა 8 დეკემბერს ონლაინ პლატფორმის

მეშვეობით. შეხვედრაზე მოხდა წარმოდგენელი დოკუმენტაციის, პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშების განხილვა. დაიგეგმა დასკვნებისა მომზადების სტრატეგია, გადანაწილდა სტანდარტები და ქვესტანდარტები ჯგუფის წევრებს შორის. ექსპერტთა მიერ გაიწერა ის ძირითადი კითხვები, რომელიც დაისვა ვიზიტის მიმდინარეობის დროს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს პროცესში. 10 დეკემბერს დაწესებულებაში ვიზიტი შეთანხმებული პროცედურებით წარიმართა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა განრიგით განსაზღვრული ყველა შეხვედრა, კერძოდ ინტერვიუები გაიმართა უნივერისტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) ონლაინ დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფი უზრუნველყოფილი იყო კარგი სამუშაო გარემოთი და მათ საშუალება ჰქონდათ ობიექტურად შეეფასებინათ პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით. ვიზიტის დასასრულს ექპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააცნო ჯგუფის მთავარი მიგნებები.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომ ენდაციები:

1. რეკომენდებულია, მიღების პროცედურაში მოხდეს შეფასების მექანიზმების დამატება, რომლიც გამოავლენს, თუ რამდენად ფლობს აპლიკანტი პროგრამის დასაძლევად აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას;
2. რეკომენდებულია, ფაკულტეტმა ხელი შეუწყოს პროგრამას სტრუქტურის გაფართოვებასა და გამრავალფეროვნება/გაძლიერებაში სპეციფიურად სოციოლოგიის მიმართულების უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური შინაარსის კურსებისა და მოდულების შექმნისა და განვითარების პროცესში და არ შეზღუდოს პროგრამა საფაკულტეტო სავალდებულო მეთოდოლოგიური კურსებით, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე ზოგადი ხასიათისაა და არ წარმოადგენს სოციოლოგიის დოქტორანტისთვის ახალი ცოდნის შემენის წყაროს სწავლის საფეხურის გათვალისწინებით;
3. რეკომენდებულია, პროგრამამ დოქტორანტებს შესათავაზოს კვლევის მეთოდების მოდული, კვლევის და მონაცემთა ანალიზის განვითარებული (Advanced) მეთოდების სხვადსხვა მიმართულებით; ეს საშუალებას მისცემს დოქტორანტს სადისერტაციო

კვლევის ინტერესების შესაბამისად თავად აირჩიოს (დამატებით) მისთვის პრიორიტეტული მეთოდის/მეთოდოლოგიის კურსები და გამოიმუშაოს სათანადო კომპეტენციები;

4. რეკომენდებულია, თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების მიმართულებით განმავითარებელი კომპონენტების დამატება;
5. რეკომენდებულია სოციოლოგიური თეორიისა და კვლევის მეთოდოლოგიის სინთეზირების მიმართულებით კომპონენტების დამატება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მას არ იზიარებს. სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის აპლიკანტი, პროგრამაში შემოსვლამდე, ვალდებულია გაიაროს ორი ფილტრი: ა) გამოცდა უცხო ენაში და ბ) გასაუბრება. ეს უკანასკნელი, დოქტორანტის მოტივაციის ადეკვატურობასთან ერთად, ამოწმებს დოქტორანტის კვალიფიკაციასაც, რამდენადაც გასაუბრებაზე დოქტორანტი წარადგენს თავისი საკვლევი თემის დეტალურ გეგმას (ე.წ. პროსპექტუსს), რომლის წარდგენაც ფაქტობრივად დოქტორანტის სოციალურ-თეორიული და ემპირიული კვლევის მეთოდების ცოდნის შემოწმების შესაძლებლობას იძლევა. პროსპექტუსი წარმოადგენს კვლევის პროგრამას (დიზაინს), რომელშიც გაწერილია საკვლევი პრობლემის კონცეპტუალური ჩარჩო, კვლევის მიზნები და ამოცანები, განხორციელებულია ძირითადი ცნებების ოპერაციონალიზაცია, ჩამოყალიბებულია ჰიპოთეზები, განსაზღვრულია ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები და სხვ. გასაუბრებაზე პროსპექტუსის გარშემო იმართება დისკუსია კომისიის წევრებსა და აპლიკანტს შორის, რომელიც ეფექტიანი გზაა აპლიკანტის კვალიფიკაციის რელევანტურობის დასადგენად. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაში შემოსვლის ზემოაღნიშნული ორი ფილტრის გამოყენება გათვალისწინებულია დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტს წარმოადგენს და დამტკიცებულია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია რჩევად უნდა კვალიფიცირდეს. საქმე ისაა, რომ თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა შეიმუშავა ერთიანი პოზიცია, რომლის მიხედვითაც სადოქტორო პროგრამაში „შემოსვლის“ ფილტრი ახდენს იმის პრევენციას, რომ პროგრამაში არ მივიღოთ ისეთი სტუდენტები, რომლებსაც არ გააჩნიათ კვალიფიციური ცოდნა დარგში თეორიული და კვლევის მეთოდოლოგიის მიმართულებით. იმ შემთხვევაში, თუ დოქტორანტი მაინც ჩათვლის, რომ სჭირდება ცოდნის გამყარება, მას ეძლევა რეკომენდაცია, რომ მაგისტრატურის დონეზე დაესწროს სასწავლო კურსებს ან სამეცნიერო ხელმძღვანელთან ინდივიდუალური კომუნიკაციით გაიღრმავოს კვალიფიკაცია. ფაკულტეტი შეთანხმდა იმაზეც, რომ ყველა სადოქტორო პროგრამის სტუდენტს მიეწოდოს სოციალური კვლევის მეთოდების სავალდებულო კურსი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები გაამყარებენ თავიანთ ცოდნას კვლევის მეთოდების მიმართულებით. სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტების უკუკავშირი ცხადყოფს, რომ კვლევის მეთოდების შესახებ სოლიდური ცოდნის მიუხედავად, ისინი იძენენ ახალ ცოდნას ამ მიმართულებით და ის ფაქტი, რომ აღნიშნული სავალდებულო კურსის გაძღოლას უზრუნველყოფს კვალიფიციურ პროფესორთა გუნდი, ეს დოქტორანტურის სტუდენტებისთვის ზრდის სიახლეების გაცნობის შესაძლებლობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ მე-3 რეკომენდაცია ფაქტობრივად, წარმოადგენს წინა რეკომენდაციის გამეორებას. ამდენად, ის არ შეიცავს რაიმე დამატებით ღირებულებას და მისი ცალკე გამოტანა მიზანშეუწონელია. მისი განმარტებით მასზე პასუხი უკვე გაცემულია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მე-4 რეკომენდაცია არ შეიძლება მიემართებოდეს თავად სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამას, რამდენადაც სასწავლო პროგრამის უზრუნველყოფა თვისებრივი მონაცემების ანალიზის რომელიმე კომპიუტერული პროგრამით (ე.წ. software-ით, როგორებიცაა, მაგალითად, NVivo, MAXQDA, HubSpot და სხვ.) არის არა სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თსუ ცენტრალური ადმინისტრაციის კომპეტენცია - რომელიმე აღიარებული კომპიუტერული პროგრამის ლიცენზირებული ვერსიის შეძენა დაკავშირებულია სერიოზულ ფინანსებთან, რომელთა განკარგვის უფლება ვერ ექნება თავად სადოქტორო პროგრამას. თსუ-ს ცენტრალური/ფაკულტეტის ადმინისტრაცია სადოქტორო სასაწავლო პროგრამის ბიუჯეტში აღნიშნული მიმართულებით ფინანსების მობილიზაციას უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში მოახდენს.

თუმცაღა, აღნიშნული პროგრამული უზრუნველყოფის არქონა არ ნიშნავს იმას, რომ თვისებრივი კვლევის მონაცემთა ანალიზი არაკვალიფიციურად განხორციელდეს სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში. აღნიშნული კომპიუტერული პროგრამები უზრუნველყოფს მხოლოდ დოქტორანტის ტექნიკურ მხარდაჭერას.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, იგი ძალზე ზოგადი ხასიათისაა და არაფერს ამბობს რაიმე კონკრეტული ცვლილების განხორციელების მიმართულებით. ამდენად დაწესებულება მიიჩნევს, რომ ის ამოღებული უნდა იყოს რეკომენდაციებიდან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამის მიღების წინაპირობებში არ არის კონკრეტული უცხო ენა განსაზღვრული ალბათ იქიდან გამომდინარე, რომ დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტში სამი ენა არის მითითებული (ინგლისური, გერმანული, ფრანგული). თუ ნაგულისხმებია ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება, უმჯობესია საკითხი დაზუსტდეს და მიეთითოს კონკრეტულად, რათა პოტენციურმა აპლიკანტმა იცოდეს თუ რომლელი ენის ჩაბარება მოუწევს. აღსანიშნავია, რომ დასკვნაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოცემულია რჩევა, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ. რაც შეეხება პროფესორის ასისტენტობას, პროგრამაში ფიქსირდება ორი იდენტური სახელწოდების კურსი, რაც ცალსახად საჭიროება კორექტირებას.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიზანში აქცენტირებულია მე-2 მიზანი, კურსდამთავრებულის აქტიური სალექტორო მოღვაწეობა, ასევე პროფესორის ასისტენტობა. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ როგორ ხდება სწავლების ინტერაქტიული მეთოდების შესწავლა და არსებობს თუ არა პრერეკვიზიტი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად შეიძლება იყოს რეკომენდაციის სახით განსაზღვრული სადოქტორო საფეხურზე სასწავლო კურსების დამატების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ მიღების წინაპირობები საჭიროებენ გაძლიერებას. სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება წინასწარ შემუშავებული წინაპირობებისა და პროცედურების საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და უნივერსიტეტის რეგულაციებთან. პროგრამაზე მიღება ხდება თსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე, სადაც წარმოდგენილია გამოცდების ვადები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა. რამდენადაც სადოქტორო პროგრამაზე მიღება ხდება ასევე სხვა სპეციალობაში სამაგისტრო ხარისხის მქონე აპლიკანტების, და არა უშუალოდ სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამისთვის რელავანტური დისციპლინიდან (მაგალითად მომიჯნავე სოციალური მეცნიერებებიდან), მნიშვნელოვანია მიღების პროცედურაში მოხდეს შეფასების მექანიზმების გაძლიერება, რომ უკეთესად გაიფილტროს და გამოვლინდეს თუ რამდენად ფლობს აპლიკანტი პროგრამის დასაძლევად აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციას. გარდა ამისა, თემასთან დაკავშრებულ რჩევასა და რეკომენდაციას შორის არის განსხვავება, კერძოდ რეკომენდაცია ეხება უშუალოდ მექანიზმს, ხოლო რჩევა შეფასების ობიექტურ მხარეს, ანუ რა კრიტერიუმებით ფასდება აპლიკანტი გასაუბრების დროს. პროგრამაში არ არის განსაზღვრული და რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება გასაუბრებაზე.

რაც შეეხება სასწავლო კურსების დამატების საკითხს, სილაბუსებში გვხვდება ის საკითხები, რომლებსაც სტუდენტები გადიან ასევე სამაგისტრო საფეხურზე თუ საქმე ეხება სოციოლოგებს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირი არ არის სოციოლოგი, მაშინ პრობლემა უფრო დიდია, ვინაიდან მას არ ექნება შეხება მოცემულ საკითხებთან და მისი ცოდნა სასწავლო კურსის ფარგლებში იქნება საკმაოდ ლიმიტირებული, ვინაიდან წარმოდგენილია ზოგადი კურსის კონცეფცია. კვლევის მეთოდოლოგიის კურსი, რომელიც სავალდებულოა და 5 კრედიტს მოიცავს აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებით კვლევისა და მონაცემთა ანალიზის მეთოდებს. შესაბამისად, კურსი უფრო მეტად ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად ითვალისწინებს სპეციფიური მიმართულებით განვითარებული (Advanced) მეთოდების გაფართოებულ სწავლებას. ამასთან დაკავშირებით, აკრედიტაციის ვიზიტის დროს პროგრამის მხრიდან ხაზი გაესვა გარემოებას, რომ აღნიშნული საფაკულტეტო მეთოდოლოგიური კურსების ფარგლებში სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამის სტუდენტები ახალ ცოდნას არ იღებენ. ამასთანავე, ცალკე სოციოლოგიის სადოქტორო პროგრამაში უშუალოდ სოციოლოგიის სპეციფიური კურსების დამატების შესაძლებლობა შეზღუდულია რამდენადაც არ ხდება მათთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობის აღიარება. მნიშვნელოვანია რომ ფაკულტეტმა ხელი შეუწყოს სადოქტორო პროგრამას პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი სასწავლო მოდულების შექმნასა და განხორციელებაში. რამდენადაც სადოქტორო საფეხურზე ერთი მხრივ, უპირატესობა ენიჭება კვლევის განვითარებული მეთოდების (Advanced methods), მათ შორის მონაცემთა ანალიზის მეთოდების სწავლებას, რომელიც კომპლექსურობით და სიღრმით აღემატება სწავლის წინა საფეხურებს, ხოლო, მეორე მხრივ, სადოქტორო პროგრამა გულისხმობს განსხვავებული კვლევითი მიმართულებებით დოქტორანტების მუშაობას, მნიშვნელოვანია პროგრამამ დოქტორანტებს შესთავაზოს კვლევის მეთოდების მოდული, კვლევის და მონაცემთა ანალიზის განვითარებული (Advanced) მეთოდების სხვადსხვა კურსებით. ეს საშუალებას მისცემს დოქტორანტს სადისერტაციო კვლევის ინტერესების შესაბამისად თავად აირჩიოს მისთვის პრიორიტეტული მეთოდის/მეთოდოლოგიის კურსები და გამოიმუშაოს სათანადო კომპეტენციები.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა მიღების წინაპირობასთან დაკავშირებით განმარტა, განსახილველი საკითხი, რომ იყოს სამაგისტრო პროგრამა, ექსპერტთა მიდგომა გასაგები იქნებოდა, თუმცა საუბარია სადოქტორო საფეხურზე, სადაც დოქტორანტი მოდის თავისი

კვლევითი პროექტით, გეგმით, პროსპექტუსით, ჩამოყალიბებული აქვს ის აზრი თუ რაზე და როგორ უნდა იკვლიოს. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა არის თუ არა სწავლის შედეგები ფორმულირებული იმგვარად, რომ აკმაყოფილებდეს დღეს არსებულ მოთხოვნებს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ მიღების პროცედურასთან დაკავშრებით რჩევაც და რეკომენდაციაც ერთნაირად არის ფორმულირებული. შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა ფორმულირების ნაწილში არის თუ არა სახეზე ტექნიკური ხარვეზი.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ იკითხა, სადოქტორო ნაშრომებიდან გამომდინარე გადის თუ არა პროგრამა სწავლის შედეგზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სადოქტორო ნაშრომების და მათი დაცვის პროცედურა დაწესებულებაში საკმაოდ კარგი და ხარისხიანია, მაგრამ სადოქტორო პროგრამა მოიცავს სპეციფიური მიმართულების კვლევას, თუმცა კვალიფიკაცია ენიჭება დარგის სპეციალისტის. შესაბამისად, თუ სტუდენტი სოციალური მეცნიერებისა და თეორიის საკითხებს არ სწავლობს, როგორ მოახერხებს ის შემდგომში კვალიფიკაციის მიღებას. პროგრამის ფარგლებში სწორედ ეს წინააღმდეგობა არსებობს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი არ გეგმავს სადოქტორო საფეხურზე მისაღებად გამოცდის დამატებას, აღნიშნული მოსაზრება კატეგორიულად მიუღებელია. რაც შეეხება გასაუბრებას, აღნიშნული არის ყველაზე წარმატებული ფორმა სასწავლო პროგრამაზე მიღების. გასაუბრება და კერძოდ პროსპექტუსის გარშემო აპლიკანტის კვალიფიკაციის შეფასება არის ფორმალიზებული, სადაც გაწერილია ზუსტად პროსპექტუსის თითოეული ნაწილი რამდენი ქულით ფასდება. რაც შემდგომ ქულობიევად ჯამდება.

რაც შეეხება სასწავლო კურსებს, ის მოსაზრება რომ ისინი იმეორებენ სამაგისტრო დონეს არის სრულიად მცდარი. სილაბუსებს შორის არის მნიშვნელოვანი განსხვავება, როგორც თემატიკის ასევე ლიტერატურის თვალსაზრისით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს არსებობის შემთხვევაში დამატებით დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება ან კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადე, რომ კითხვები აღარ ჰქონდათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (2021 წლის 30 დეკემბრის) თარიღით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:40
დასრულების დრო: 19:20

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილებით, 1.2 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასება. 2.1 და 2.3 კომპონენტების შეფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, აღნიშნულიდან გამომდინარე შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება და განისაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, დაამატა რეკომენდაციები და რჩევები. აღნიშნული ცვლილების შედეგად დაწესებულებას საბოლოოდ განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
2. რეკომენდებულია ორი იდენტური დასახელების სასწავლო კურსის დაზუსტება განსხვავებული მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსებში შედეგები რეფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი გაზომვადობა.

რჩევები:

1. სასურველია, რომ მიღების პროცედურაში მოხდეს შეფასების მექანიზმების დამატება.
2. სასურველია, რომ სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში ცხადად განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები.
3. მიღების წინაპირობებში დაზუსტდეს, თუ რომელი უცხო ენის კომპეტენციის დადასტურება მოუწევს პოტენციურ აპლიკანტს.
4. სასურველია, პროგრამამ დოქტორანტებს შესათავაზოს კვლევის მეთოდების მოდული, კვლევის და მონაცემთა ანალიზის განვითარებული (Advanced) მეთოდების სხვადსხვა მიმართულებით; ეს საშუალებას მისცემს დოქტორანტს სადისერტაციო კვლევის ინტერესების შესაბამისად თავად აირჩიოს (დამატებით) მისთვის პრიორიტეტული მეთოდის/მეთოდოლოგიის კურსები და გამოიმუშაოს სათანადო კომპეტენციები.
5. სასურველია, გადაიხედოს სილაბუსში შეფასების ქულებს შორის შუალედი და დაკონკრეტდეს რა შემთხვევაში იღებს სტუდენტი კონკრეტულ ქულას.
6. სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს დოქტორანტურის სტუდენტებს შორის მეტი კომუნიკაცია, საერთო შეხვედრების, განხილვებისა და თანმშრომლობის შესაძლებლობების ორგანიზებით.
7. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა აღჭურვოს კომპიუტერული ლაბორატორიები როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი კვლევის მონაცემების ანალიზისთვის საჭირო ლიცენზირებული პროგრამებით, რომლებიც სტუდენტებს ულიმიტო და სრულფასოვანი მუშაობის საშუალებას მისცემს.
8. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმფიფო უნივერსიტეტის „სოციოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით

19:20- საბჭოს სდომას შეურთდა ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანი
19:25- საბჭოს სხოდმა დატოვა ანა ფირცხალაშვილმა

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის ხელმძღვანელობა გააგრძელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

მესამე საკითხი : ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 18 აგვისტოს №98 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**საექთნოდასამეანოსაქმე 0913**
12	სწავლების ენა	ინგლისური

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	**0159 თბილისი, ბოხუასქ. 9 ; ბოხუას ქ. 11**; საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ანახორციელა ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საექთნო საქმე არაგეგმიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანამანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ საუბარი იყო პროგრამის ორად გაყოფაზე. ადრე შესაძლებელი იყო ერთი პროგრამის ფარგლებში ორი კვალიფიკაციის არსებობა, შესაბამისად როდესაც გამოცხადება დადგა დღის წესრიგში აღმოჩნდა, რომ ფორმალურად პროგრამები საჭიროებდნენ გამიჯვნას. გამომდინარე აქედან ცენტრის მიერ განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი.

დაწესებულებამ საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (30 დეკემბრის) თარიღით.

საბჭომ დაწესებულების აღნიშნული შუამდგომლობა სრულიად გაიზიარა და დააკმაყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა სხდომაზე დამსწრე წევრებს არსებობის შემთხვევაში დამატებით დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება ან კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადე, რომ კითხვები აღარ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 19:35
დასრულებისდრო: 20:40

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები:

1. სასურველია დაკორექტირდეს ცოდნა-გაცნობიერების რუბრიკა და გაიწეროს განახლებული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად;
2. დაზუსტდეს ტექნიკური უზუსტობა და აისახოს რუქებში ცოდნის შედეგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „საექთნო საქმის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

20:40- საბჭოს სხდომას შეურთდა თამარ ჩხეიძე

მეოთხე საკითხი : ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2016 წლის 18 აგვისტოს №98 გადაწყვეტილება
5	საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამედიცინო რეაბილიტაცია და საექთნო საქმე
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკურ მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	**0915 თერაპიადარეაბილიტაცია**
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	**0159 თბილისი, ბოხუასქ. 9 ; ბოხუას ქ. 11**; საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის (კურიკულუმის და პროგრამის კომპონენტების სილაბუსების) შესწავლით. შეფასება განხორციელდა სტანდარტების იმ კომპონენტებთან მიმართებაში, რომლებთანაც დაკავშირებით განხორციელდა გარკვეული ცვლილებები. შეფასების შედეგების საფუძველზე მომზადდა დასკვნის პროექტი, ხოლო დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შედეგად - წინამდებარე დასკვნა.

პირველი და მე-2 სტანდარტი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში მკაფიოდ აისახოს აისახოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული.

2. რეკომენდებულია გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.

3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები იყოს ფორმულირებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად, ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით.

4. რეკომენდებულია დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი მიღწევადობის და გაზომვადობს თვალსაზრისით.

5. რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული შეფასების სისტემა, რათა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემასთან შესაბამისობა;

6. რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და მათთვის მინიჭებული ქულების ურთიერთშესაბამისობა (გამოირიცხოს ქულის მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი მინიმალურ დონეზე ცოდნას და/ან უნარებს ვერ ადასტურებს)

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის მიზნების ფორმულირება ლოგიკურად გულისხმობს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს, რაც უნდა ჰქონდეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს. უცხოეთში მოქმედი ანალოგიური პროგრამების მიზნების მაგალითზე, რომლებიც გამოირჩევა ლაკონურობით, ჩამოყალიბდა წინამდებარე პროგრამის მიზანიც, ხოლო კონკრეტული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები გაწერილია შესაბამის ველში. შესაბამისად, პროგრამის მიზნებში მათი დეტალური ჩამოთვლა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად და მართებულად.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, პროგრამაში წარმოდგენილი შედეგი - „ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას“ - ის ძირითადი პოსტულატია, რომელიც პირდაპირ პასუხობს ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიას. უნივერსიტეტს საკუთარ მისიაში გაცხადებული აქვს, რომ „ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი იზიარებს სოციალურ პასუხისმგებლობას, შესაბამისად, სასწავლო კურსები ითვალისწინებს საზოგადოების კეთილდღეობისკენ მიმართული აქტივობების ორგანიზებას და ამ შედეგის შეფასება ხდება შესაბამისად. მაგალითად: სასწავლო კურსში „ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ველნესი, არის დეტალური

ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, რომ „პრაქტიკული მეცადინეობები ითვალისწინებს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისკენ მიმართულ სხვადასხვა აქტივობასა თუ ორგანიზებაში მონაწილეობას“, რაშიც სტუდენტი იღებს შეფასებას. ასევე, ქულობრივი შეფასება აქვს მინიჭებული სტუდენტის მიერ შესრულებულ აქტივობას და შეფასების კომპონენეტს წარმოადგენს „აქტივობის ინტეგრაციის ხარისხი.აქედან გამომდინარე, პროგრამაში აღნიშნული შედეგები მიღწევადი და გაზომვადია. ასევე გვინდა ხაზი გავუსვათ „ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტს, რომელსაც, როგორც ექსპერტები დასკვნის პროექტში აღნიშნავენ, არ არის განმარტებული. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანეს პროცესს და შუალედური მონიტორინგის სისტემას, რომელიც ზომავს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევადობას. ეს მექანიზმი გამოიყენება მედიცინის სკოლის ყველა პროგრამის სასწავლო კურსების შედეგების შუალედური შეფასებისთვის და ავტორიზაცია-აკრედიტაციის პროცესებში დასახელდა, როგორც უივერსიტეტის მიერ დანერგილი ერთ-ერთი „საუკეთესო პრაქტიკა. ვინაიდან ექპერტებს არ განუხორციელებიათ ვიზიტი ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში და შესაბამისად, ინტერვიუირების დროს ვერ მოხდა ინფორმაციის გაზიარება, არც დამატებითი დოკუმენტების სახით არ იქნა მოთხოვნილი, ამან გამოიწვია აღნიშნული გაუგებრობა.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ექპერტების მიერ მითითებულ სილაბუსებში დაშვებულია ტექნიკური ხასიათის უზუსტობები, რომელიც უკვე გამოსწორდა.

დაწესებულებამ საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (30 დეკემბრის) თარიღით.

საბჭომ დაწესებულების აღნიშნული შუამდგომლობა სრულიად გაიზიარა და დააკმაყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 19:35
დასრულებისდრო: 20:40

საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში მკაფიოდ აისახოს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის პროგრამა მიმართული.
2. რეკომენდებულია გამოირიცხოს პროგრამის შედეგის იმგვარი ფორმულირება, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ამ შედეგის გაზომვას და უკანასკნელის დადასტურების შესაძლებლობას.
3. რეკომენდებულია დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგები მათი მიღწევადობის და გაზომვადობს თვალსაზრისით.
4. რეკომენდებულია გადაიხედოს სილაბუსებში მითითებული შეფასების სისტემა, რათა იყოს უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილ შეფასების სისტემასთან შესაბამისობა;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და მათთვის მინიჭებული ქულების ურთიერთშესაბამისობა (გამოირიცხოს ქულის მინიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი მინიმალურ დონეზე ცოდნას და/ან უნარებს ვერ ადასტურებს)

რჩევები:

1. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგები იყოს ფორმულირებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად, ახლანდელ დროში და აქტიური ზმნების გამოყენებით.
2. სასურველია სასწავლო კურსების სილაბუსების გაუმჯობესება ენობრივი სისწორის თვალსაზრისით
3. სასურველია სილაბუსებში წარმოდგენილი იყოს ადგილზე პრაქტიკული გამოცდის შეფასების მექანიზმი
4. სასურველია სილაბუსებს თან ერთვოდეს შეფასების თანამედროვე მეთოდების OSPE (ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა) და OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) დანერგვასთან დაკავშირებით შემუშავებელი გეგმა, შესაბამისი ჩექლისტებით

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 23-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეხუთე საკითხი : სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		2012 წლის 28 ნოემბრი #735

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას N61, თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- მაკა კაჭარავამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ჯგუფის ონლაინ ვიზიტი სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 2021 წლის 5 ნოემბერს გაწერილი დღის

წესრიგის მიხედვით, გასაუბრება შედგა შემდეგ ჯგუფებთან/ადამიანებთან: - უნივერსიტეტის ადმინისტრაცია - პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი - პროგრამის ხელმძღვანელი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები - პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი - პროგრამის სტუდენტები - პროგრამის კურსდამთავრებულები - დამსაქმებლები. გარდა ამისა, დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, და სხვ.) დათვალიერება, რომელიც მოემსახურება საბაკალავრო პროგრამის ფუნქციონირებას. დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება გაგრძელდა 10.00-დან 18.30 საათამდე. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ პროგრამის შეფასებამ ჩაიარა კონსტრუქციულ გარემოში; რესპონდენტები იყვნენ ინფორმატიულები, მომზადებულები და გულწრფელები, რამაც ექსპერტთა ჯგუფს მისცა ადეკვატური და ობიექტური შეფასებების გაკეთების შესაძლებლობა.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. რეკომინდირებულია პროგრამის მიზნებში ცოდნასთან ერთად ჩანდეს ის თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობის უზრუნველსაყოფად გადაიხედოს მათი ფორმულირებები.
3. რეკომენდირებულია სასწავლო გეგმაში სასწავლო კურსები: პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, პოლიტიკის თეორია და თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები, თითოეულის პრერეკვიზიტის დაცვით შესაბამისად დალაგება, რომ ლოგიკურად დალაგდეს და მოხდეს პრერეკვიზიტის დაცვა შემდეგი თანმიმდევრობით ჯერ ისწავლებოდეს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია, შემდეგ პოლიტიკის თეორია და ბოლოს თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები.
4. რეკომენდირებულია „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ განისაზღვროს სასწავლო კურსის „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“ წინაპირობად.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საქართველოს პოლიტიკური სისტემები“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „შედარებითი პოლიტიკა“.
6. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (პოლიტიკის კვლევის მეთოდებ; შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში; პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია; ქართული პოლიტიკური აზრი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, ,,მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კონფლიქტები, საჯარო პოლიტიკა, თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები) სწავლის შედეგების რეფორმულირება მკაფიობისაა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად
7. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „პოლიტიკური კონფლიქტები“ სწავლების მიზნის შინაარსობრივო რეფორმულირება იმ მიზნით, რომ იყოს მკაფიო და აღქმადი.

8. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ თემატური გადაფარვების აღმოფხვრა.
9. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ კურსის მიზანი და სწავლის შედეგები, უნარების ნაწილში მოვიდეს კორელაციაში.
10. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში „პოლიტიკის კვლევის მეთოდები“ და „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ ძირითად ლიტერატურაში გადაფარვების აღმოფხვრა.
11. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სწავლის შედეგების შეფასების მექანიმების შემუშავების მიმართულებით გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები.
12. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, შემდგომი მონიტორინგის ფარგებში, სიღრმიეულად იქნას შესწავლილი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებები და მოსაზრებები არა მარტო პროგრამის შინაარსთან, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებთან, არამედ პროგრამის განხორციელებასთან, სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან მიმართებით.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი იზიარებს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და მათი გათვალისწინების მიზნით დაგეგმვას კონკრეტულ ღონისძიებებს.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ საკითხები შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, კერძოს ვინ და რამდენი ორგანიზაცია იქნა გამოკითხული. აღსანიშნავია, ასევე, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ფაკულტეტის და არა პროგრამული ბიუჯეტი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პროგრამა გამდიდრდეს ეკონომიკური პროფილის საკითხებით. საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ ისაუბრა კვლევის მეთოდებთან დაკავშირბულ რეკომენდაციებზე და მოუწოდა მხარეებს პოზიციის დაფიქსირებისკენ.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათსაკუთარიპოზიცია.
ექსპერტმა განმარტა, რომ იქიდან გამომდინარე რომ ჯგუფი გაეცნო სილაბუსებს არ ყოფილა გამოკვეთილი შინაარსორბოვი მახასიათებელი.
საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთარი პოზიცია.
შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დაწესებულებამ განმარტა, რომ უნივერისტეტმა ხელშეკრულება დადო კომპანიასთან რომელმაც შემდგომ ჩაატარა შრომის ბაზრის კვლევა. რაც შეეხება ბიუჯეტს, რეკომენდაციების შესაბამისად ის შემუშავებულია ახალი ფორმით.
დაწესებულებამ საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (30 დეკემბრის) თარიღით.
საბჭომ დაწესებულების აღნიშნული შუამდგომლობა სრულიად გაიზიარა და დააკმაყოფილა.
სხდომაზეგამოცხადდასათათბიროშესვენება
დაწყებისდრო: 21:10
დასრულებისდრო: 21:30

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ ამოიღო გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოო სახით დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომინდირებულია პროგრამის მიზნებში ცოდნასთან ერთად ჩანდეს ის თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
    1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვადობის უზრუნველსაყოფად გადაიხედოს მათი ფორმულირებები.
    2. რეკომენდირებულია საქართველოს პოლიტიკური სისტემის სასწავლო კურსის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი შედარებითი პოლიტიკა;
    3. რეკომენდებულია ცალკეულ სასწავლო კურსებში (,,პოლიტიკის კვლევის მეთოდები"; ,,შესავალი პოლიტიკის მეცნიერებებში"; ,,პოლიტიკურ მოძღვრებატა ისტორია; ქართული პოლიტიკური აზრი, შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, ,,მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური კონფლიქტები, საჯარო პოლიტიკა, თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება: სკოლები და მიმართულებები) სწავლის შედეგების რეფორმულირება მკაფიობისაა და გაზომვადობის უზრუნველსაყოფად;
    4. რეკომენდირებულია კურსების „პოლიტიკის კვლევის მეთოდები" და „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში" თემატური გამიჯვნა, მიზნისა და შედეგების შესაბამისობაში მოყვანა და სავალდებულო ლიტერატურის გადაფარვების აღმოფხვრა.
    5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსში პოლიტიკური კონფლიქტები სწავლების მიზანიის შინაარსობრივო რეფორმულირება რომ იყოს მკაფიო და აღქმადი;
    6. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სწავლის შედეგების შეფასების მექანიმების შემუშავების მიმართულებით გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან. აღნიშნული მიმართულებით ჩაატაროს შესაბამისი ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები
    7. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, შემდგომი მონიტორინგის ფარგლებში, სიღრმიეულად იქნას შესწავლილი სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დამოკიდებულებები და მოსაზრებები არა მარტო პროგრამის შინაარსთან, თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტებთან, არამედ პროგრამის განხორციელებასთან, სწავლების და შეფასების მეთოდებთან მიმართებით.

რჩევები:

1. სასურველია, შრომის ბაზრის კვლევის მეთოდოლოგიის გაუმჯობესება და მიზნობრივად საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებისთვის კვლევის განხორციელება, რომ უკეთ გამოიკვეთოს დარგობრივი კომპეტენციების მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნილებები.
2. სასურველია მოხდეს სწავლის მერვე, მეცხრე და მეათე შედეგების, რომელიც ეხება ავტონომიურობას და პასუხისმგებლობას აკუმილირებული სახით ფორმულირება.
3. ჩანაწერი პროგრამის წინაპირობის მე-3 პუნქტში „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში", ვფიქრობთ, უფრო მართებული იქება თუ ჩანაცვლდება ჩანაწერით „პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამაზე ჩასაბარებლად სავალდებულოა მეოთხე მაპროფილებელი საგნის ჩაბარება ისტორიაში მხოლოდ იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებმაც მე-3 სავალდებულო სანგად აირჩიეს მათემატიკა/სამოქალაქო განათლება/გეოგრაფია", ან ჩანაწერი მე-4 საგანთან დაკავშირებით ამოღებულ იქნას.

4. სასურველია პროგრამა გამდიდრდეს ეკონომიკური პროფილის საკითხებით.
5. სასურველია სტუდენტთა მხარდამჭერი ისეთი მხარდამჭერი სისტემების, როგორიცაა შიდა გრანტები, სტუდენტთა კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობის სტიმულირება;
6. სასურველია სტუდენტებში ტრანსფერული და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის განხორციელდეს კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი აქტივობებს, მათ შორის, საჯარო ლექციები, დისკუსია/დებატები, სხვადასხვა ფორმატის შეხვედრები და სხვ. ორგანიზება.
7. სასურველია პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში პროგრამის ფარგლებში მოხდეს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში სტუდენტურ კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის უფრო მეტად წახალისება და მხარდაჭერა მათთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების თუ სხვა საშუალებით, ასევე სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება.
8. სასურველია გამრავალფეროვნდეს შეფასების სისტემა, კერძოდ, შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასების კომპონენტებში გამოიკვეთოს შესაბამისი დავალებ(ებ)ი, რომლებიც ორიენტირებული იქნება მეტწილ პრაქტიკულ მხარეზე და თეორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე.
9. სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციაში დეტალურად გაიწეროს ის შემთხვევა, როდესაც საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი წერს უარყოფით დასკვნას;
10. გაუმჯობესდეს პერსონალის და სტუდენტების ინფორმირებულობა პროგრამაზე, რომელიც პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების შესაძლებლობას იძლევა. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არ იძებნება შესაბამისი ჩანაწერი პლაგიატის შესახებ.
11. სასურველია კარიერული სამსახურის გააქტიურება სტუნდენტთა კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების მიზნით; კერძოდ, ადმინისტრაციის მხრიდან გააქტიურდეს შეხვედრა/სემინარების ორგანიზება დარგის პოტენციურ დამსაქმებლებთან;
12. სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს აქტიური ღონისძიებები აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული ზრდისა და განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებში პერსონალის კიდევ უფრო აქტიურად ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
13. სასურველია „სტადლაბის“ სისტემური ხარვეზების დროული გამოსწორება, რათა იგი შეუფერხებლად მუშაობდეს უფრო დიდი დატვირთვის პირობებშიც.
14. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების წახალისების მიზნით, სასურველია, შიდა საგრანტო კონკურსის დანერგვა და შესაბამისი ხარჯების ბიუჯეტში გათვალისწინება.
15. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ეფექტიანი ჩართულობა პროგრამის შემუშავების, მოდიფიცირებისა და შეფასების პროცესში.
16. სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების სრულად გათვალიწინება პროგრამის განვითარების პროცესში.
17. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს გარე შეფასებისთვის კონკრეტული მეთოდოლოგია, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს დაეხმარება პროგრამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მიგნებებისა და გასაუმჯობესებელი მხარეების უკეთ იდენტიფიცირებისაში.
18. სასურველია, ერთი მხრივ, უცხოელი ექსპერტისთვის შემუშავდეს პროგრამის შეფასების დასკვნის ფორმა შესაბამისი ინდიკატორებით, რომლებშიც ასახული იქნება

აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნები, ხოლო, მეორე მხრივ, დაიხვეწოს ქართველი გარე შემფასებლებისთვის უკვე არსებული შეფასების ფორმა, გამრავალფეროვნდეს შესაფასებელ საკითხთა ჩამონათვალი და შეფასების კრიტერიუმები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "პოლიტიკის მეცნიერებების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სიხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცის 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეექვსე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 25 ნოემბრის №369 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი

10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/ რუსთაველის ქუჩა 35/32
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ანზორ ბერიძემ
საფუძველი-შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ამა წლის 19 ნოემბერს ონლაინ ვიზიტის ფორმით. დღის წესრიგის შესაბამისად, ვიზიტის დროს ჩატარდა ინტერვიუები უსდ ადმინისტრაციასთან (რექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი) და ფაკულტეტის წარმომადგენლებთან (ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური), პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ბიბლიოთეკის წარმომადგენელთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ფორმატში განხორციელდა რესურსების დათვალიერება (საბიბლიოთეკო რესურსები და სხვ.) ვიზიტმა ჩაიარა კოლეგიალურ ატმოსფეროში.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სასწავლო კურსები „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“ ჩამოყალიბდეს ორ სასწავლო კურსად (ნაცვლად სამისა) და აღნიშნული სასწავლო კურსები და ასევე, სასწავლო კურსი „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ გადავიდეს არჩევით კურსებში.
2. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ჩანაცვლდეს ორი სავალდებულო სასწავლო კურსით: „აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი“ და „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში/სოციალურ მეცნიერებებში“ (რომლის შინაარსში წარმოდგენილი იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები).
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ და „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ სტრუქტურის სავალდებულო ნაწილში გადმოტანა.
4. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“ რომელიც უნდა განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“.
5. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სილაბუსები მოვიდეს ურთიერთშესაბამისობაში და თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები.
6. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს „მსოფლიო პოლიტიკა 1-2“; „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“; „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ მოეძებნოს შინაარსის შესატყვისი სათაურები.
7. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“ განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები.
8. რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“ შინაარსების სინქრონი იმ სახით, რომ უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი თეორიისა და სკოლის განხილვა.

9. რეკომენდებულია, დავიწროვდეს სასწავლო კურსების „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“; „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“; „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ სათაურები და განხორციელდეს თანმდევი შინაარსობრივი ცვლილებები.
10. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის დანართში მოხდეს წარმოდგენილი სალექციო თემატიკის დეტალიზაცია და თემების შესატყვისი ძირითადი ლიტერატურის მითითება.
11. რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით, ნათარგმნი წიგნებით, ინგლისურენოვანი წიგნებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ინტერნეტ-რესურსებით (ვიდეო ლექციები, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, სასარგებლო ბმულები (კანონებისა და სხვადასხვა უწყებების საქმიანობის გასაცნობად), საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვ.)

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსების დასახელება, მიზანი, თემატიკა და სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა ჩვენი საერთაშორისო ექსპერტის სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორის თომას იონთერის ჩართულობით და მისი რეკომენდაციებით. საბაკალავრო პროგრამაში მსოფლიო პოლიტიკის სასწავლო კურსები: მსოფლიო პოლიტიკა 1; მსოფლიო პოლიტიკა 2; მსოფლიო პოლიტიკა 3, სავალდებულო კურსის სტატუსით არის წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში. დასკვნით პროექტში პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკაშირებით, მათ შორის კურიკულუმის რუკასთან და არც სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით შენიშვნა არ ფიქსირდება, ხოლო თითოეულ მათგანში მსოფლიო პოლიტიკის სამი სასწავლო კურსი დამოუკიდებლად და სავალდებულოდ არის წარმოდგენილი. ამრიგად, დასკვნის პროექტში აკრედიტაციის სტანდარტებზე მოცემული შეფასებები ცალკეულ კომპონენტებთან მიმართებით წინააღმდეგობაშია. შესაბამისად, მოცემული სასწავლო კურსების არსებული ფორმით წარმოდგენა ვერ ჩაითვლება აკრედიტაციის რომელიმე ქვესტანდარტის ხარვეზად. აღნიშნული სასწავლო კურსის მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და შინარსიის მიღწევადობას. ასევე უნდა ითქვას სასწავლო კურსზე „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“. მისი მიზანი, სწავლის შედეგები, თემატიკა პირდაპირ გადის პროგრამის მე-3 და მე-5 სწავლის შედეგებზე, ხოლო დასკვნის პროექტში პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკაშირებით, მათ შორის კურიკულუმის რუკასთან და არც სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით შენიშვნა არ ფიქსირდება. ამასთან, მოცემული სასწავლო კურსი აუცილებელია სწავლის შედეგების მიღწევადობის თვალსაზრისით.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, პროგრამის სტრუქტურა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ექსპერტის, სტოკჰოლმის უნივერსიტეტის პროფესორ თომას იონთერის ჩართულობით, მისი რეკომენდაციებით და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისიწინებით. საბაკალავრო პროგრამაში „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ და „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“ არჩევითი კურსის სტატუსით არის წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში, ხოლო წარმოდგენილ დასკვნის პროექტში პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკაშირებით, მათ შორის კურიკულუმის რუკასთან და არც სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებით შენიშვნა არ ფიქსირდება. სასწავლო კურსი საინფორმაციო ტექნოლოგიები მოქმედ პროგრამში იყო, როგორც სავალდებულო, თუმცა სტუდენტთა

გამოკითხვების შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, ის გადატანილ იქნა არჩევითი სასწავლო კურსის ბლოკში. პროგრამა აღნიშნული სასწავლო კურსით დაინტერესებულ სტუდენტს აძლევს საშუალებას გაიაროს ის. სასწავლო კურსის „თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების“ თემატიკა, შესაბამისი კონტექსტით მოცემულია სასწავლო კურსებში ,,სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების“ და ,,მსოფლიო პოლიტიკის 3“, სადაც საერთაშორისო სისტემის და მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში განიხილება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების კარდინალური საკითხები; ხოლო სტუდენტების მხრიდან ინტერესის შემთხვევაში მათ პროგრამა შესაძლებლობას აძლევს არჩევითი ბლოკიდან გაიღრმავონ ცოდნა მოცემულ საკითხებზე.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსში რეგიონთმცოდნეობის საფუძლები - კურსის თემატიკის დასახელებებში კონკრეტულ რეგიონებთან მიმართებით დაემატოს ეთნო-პოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური შინაარსის აღმნიშვნელი, როგორც ეს მოცემული სასწავლო კურსის ლიტერტურაშია მოცემული და როგორც ეს ისწავლება. ხოლო სასწავლო კურსების პოლიტიკა (ზოგადი კურსი) და შედარებითი პოლიტიკის (თეორია და პრაქტიკა) შემთხვევაში რეკომენდაცია ძალიან ზოგადია და საჭიროებს დაზუსტებას, არ ჩანს კონკრეტულად აკრედიტაციის რომელი ქვესტანდარტის შეფასების რომელ კრიტერიუმს სრულად ვერ აკმაყოფილებს ის. უმჯობესი იქნებოდა, ექსპერტებს აღწერისა და ანალიზის ნაწილში მკაფიოდ და ზუსტად მიეთითებინათ შინაარსობრივი გადაფარვები (არსებობის შემთხვევაში) და მკაფიოდ დაეზუსტებინათ “შინაარსობრივი ცვლილებების” განსაზღვრება, ვინაიდან არც ერთი სასწავლო კურსის შემთხვევაში არ არის დაფიქსირებული ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევადობის პრობლემა. სხვა შემთხვევაში, მოცემული რეკომენდაცია მხოლოდ რჩევის სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

რაც შეეხებამე-7 რეკომენდაციას, რეკომენდაცია ძალიან ზოგადია, არ ჩანს რას ნიშნავს “შინაარსის სინქრონი”, რაც, უფრო დიდ ბუნდოვანებას იწვევს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რეკომენდაცია იყოს ზუსტად, მკაფიოდ და გასაგებად ფორმულირებული, რათა დაწესებულებამ შეძლოს მასზე სრულყოფილი არგუმენტირებული მოსაზრების წარმოდგენა. ან საჭიროების შემთხვევაში მისი გათვალისიწინება ამასთან, მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი “შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში” არ არსებობს.

მნიშვნელოვანია ასევე მე-9 რეკომენდაცია, რეკომენდაცია, მსგავსად წინა შემთხვევებისა, ბუნდოვანი და ზოგადია. რეკომენდაციის მიხედვით, არ ჩანს 2.3 ქვესტანდარტის შეფასების კონკრეტულად რომელი კრიტერიუმი არ არის სრულად დაკმაყოფილებული. ამ თვალსაზრისით, მოცემული რეკომენდაცია არის რჩევა. სასურველი იქნებოდა, სილაბუსის ავტორებთან გასაუბრების დროს ექსპერტებს დაეზუსტებინათ ეს საკითხი.

დაწესებულება არ ეთანხმება დასკვნაში არსებულ მე-10 რეკომენდაციას, რადგან მოცემული რეკომენდაცია არ წარმოადგენს 2.3 ქვესტანდარტის შეფასების არც ერთი კრიტერიუმის შეუსრულებლობის მაგალითს. ამდენად, ის მხოლოდ რჩევის სახით შეიძლება, იყოს წარმოდგენილი.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, დასკვნის პროექტში საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვაში ხაზგასმულია რომ ,,მისასალმებელია უნივერსიტეტის მაღალი დონის მატერიალურტექნიკური ბაზა, და საბიბლიოთეკო რესურსები, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამაში არ არის რულად განსაზღვრული საბაკალავრო ნაშრომის წერისთვის აუცილებელი საკითხები, გარდა ამისა ნაკლებად არის მოცემული დარგობრივი ინგლისური ენა, რომელიც განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსად უნდა იყოს განსაზღვრული. ასევე აღსანიშნავია, რომ თავისუფალი კრედიტების რაოდენობა არის მხოლოდ 10, შესაბამისად, უმჯობესი იქნება დაწესებულებამ იფიქროს კრედიტების რაოდენობის გაზრდაზე.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა კურიკულუმის რუკა, რომელიც მოიცავს ყველა სავალდებულო კურსს სამივე დონეზე. მოცემულ რუკაშიც არ არის მოცემული ინგლისური ენის სილაბუსები, განსაკუთრებით იმ პირობებში რომ ისინიც სავალდებულოა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა ,,საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკური საფუძვლების“ სასწავლო კურსი და განმარტა, რო სასწავლო კურსს აქვს წინაპირობა, თუმცა უმჯობესია დაემატოს ერთი საბაზო კურსი ეკონომიკაში როგორც წინაპირობა. მნიშვნელოვანია ასევე ,,გეოსტრატეგიისა და გეოეკონომიკის“ სასწავლო კურსი სადაც სტარტეგიული მენეჯმმეტი იქნება საუკეთესო შესაძლებლობა, ვინაიდან სწორედ სტრატეგიულ მენეჯმენტში იჯდება განხილული საკითხები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აკადემიურ წერასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული სასწავლო კურსი სტუდენტთა გამოკითხვისა და მათი სურვილის საფუძველზე სავალდებულოდან გადავიდა არჩევით სასწავლო კურსში, თუმცა პროგრამის ჯგუფმა აკადემიური წერის მნიშვნელოვანი ელემენტები განსაზღვრა სხვადასხვა სასწავლო კურსებში.

რაც შეეხება ინგლისურ ენას, მიდგომა ცენტრალიზებულია და დაწესებულებაში არსებობს ინგლისური ენის ცენტრი. მნიშვნელოვანია, რომ სილაბუსები მუშავდება დარგობრივი კუთხით.

მნიშვნელოვანია ასევე თავისუფალი კრედიტების რაოდენობის საკითხი, კერძოდ დაწესებულების მიზანი, იყო რომ პროგრამის სტუდენტებისთვის შეეთავაზებინა, როგორც დარგობრივი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, ასევე სავალდებულო სასწავლო კურსების ის მოცულობა, რომელიც სტუდენტებისთვის იქნება საკმარისი. აღნიშნული კი დადგინდა სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად.

აღსანიშნავია ასევე, რომ ,,საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკური საფუძვლების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით ექსპერტებსაც ჰქონდათ რეკომენდაცია, შესაბამისად საკითხი უკვე გათვალისწინებულია დაწესებულების მიერ. რაც შეეხება ,,გეოსტრატეგიისა და გეოეკონომიკის“ სასწავლო კურსს ინსტიტუცია იმსჯელებს საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულებამ საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (30 დეკემბრის) თარიღით.

საბჭომ დაწესებულების აღნიშნული შუამდგომლობა სრულიად გაიზიარა და დააკმაყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 22:30

დასრულებისდრო: 23:24

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარე ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და ამოიღო გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოოდ საგანმანათლებლო დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურაში არსებული სავალდებულო სასწავლო კურსი „სოციოლოგიური კვლევის მეთოდები და კვლევის დიზაინი“ ჩანაცვლდეს ორი სავალდებულო სასწავლო კურსით: „აკადემიური წერა და კვლევის დიზაინი“ და „კვლევის მეთოდები პოლიტიკის მეცნიერებებში/სოციალურ მეცნიერებებში“ (რომლის შინაარსში წარმოდგენილი იქნება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები).
2. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“ რომელიც უნდა განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ და „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“;
3. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო კურსების სილაბუსები მოვიდეს ურთიერთ შესაბამისობაში და თავიდან იქნას აცილებული ტექნიკური თუ შინაარსობრივი ხარვეზები.
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსების „მსოფლიო პოლიტიკა 1“, „მსოფლიო პოლიტიკა 2“, „მსოფლიო პოლიტიკა 3“, „სისტემური საერთაშორისო ურთიერთობები“, „საქართველო მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში“ მიზნების და სწავლის შედგების გათვალისწინებით, სათაურები და შინაარსი მოვიდეს შესაბამისობაში.
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“, „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“, „შედარებითი პოლიტიკა“ განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები.
6. რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსები „შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ურთიერთობების ყველა ძირითადი თეორიისა და სკოლის განხილვა.
7. რეკომენდებულია, დაზუსტდეს სასწავლო კურსების „საერთაშორისო უსაფრთხოება და წესრიგი“; „გეოეკონომიკა და გეოსტრატეგია“; „საერთაშორისო პოლიტიკა და სტრატეგიული დაზვერვა“ სათაურები, შინაარისი და გაგაიხედოს/განახლდეს სავალდებულო ლიტერატურა.
8. რეკომენდებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სილაბუსის დანართში მოხდეს წარმოდგენილი სალექციო თემატიკის დეტალიზაცია და თემების შესატყვისი ძირითადი ლიტერატურის მითითება.
9. რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის განახლება ახალი გამოცემებით, ნათარგმნი წიგნებით, ინგლისურენოვანი წიგნებით, პოლიტიკის დოკუმენტებით, ინტერნეტ-რესურსებით (ვიდეო ლექციები, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, სასარგებლო ბმულები (კანონებისა და სხვადასხვა

უწყებების საქმიანობის გასაცნობად), საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები და სხვ.)

რჩევები:

1. სასურველია, ფორმულირება „მშობლიურ და უცხოურ ენებზე (ინგლისური და ერთერთი სხვა ენა არჩევით) კომუნიკაციის უნარების განვითარება“ შეიცვალოს ფორმულირებით „მშობლიურ და ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება“ მეორე უცხო ენის არჩევითი სტატუსის გათვალისწინებით.
2. სასურველია, პროგრამის შედეგების ლაკონური ფორმულირება;
3. სასურველია დაზუსტდეს კურიკულუმის რუკა მასში ყველა სავალდებულო სასწავლო კურსის ასახვის მიზნით გაცნობა/გაღრმავება /განმტკიცების დონეზე (მაგ. ინგლისური ენის სასწავლო კურსი).
4. სასურველია, სასწავლო კურსს „შედარებითი პოლიტიკა“ რომლის წინაპირობაა „პოლიტიკა (ზოგადი კურსი)“ წინაპირობად დაემატოს კიდევ ერთი სასწავლო კურსი: „რეგიონთმცოდნეობის საფუძვლები“.
5. სასურველია, სწავლის შედეგებში ასახული იყოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი იმ სასწავლო კურსებისთვის, რომლებიც შინაარსიდან გამომდინარე ორიენტირებულია პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობისა სწავლების საფეხურის შესაბამისი ასპექტების განვითარებაზე;
6. სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში აისახოს საბაკალავრო თემის საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასთან/სკოლასთან დაკავშირების აუცილებლობა.
7. სასურველია, დაიხვეწოს პრაქტიკის კომპონენტი და პრაქტიკის გავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს პროგრამის სასწავლო კურსებით შეძენილი პროფესიული უნარჩვევების განვითარებაზე.
8. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში.
9. სასურველია, ბიუჯეტში ჩაიდოს მეტი ფინანსური რესურსი აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტების მხარდაჭერისა თუ სხვა აქტივობების განხორციელების მიმართულებით და ასევე, სამეცნიერო ლიტერატურისა და ჟურნალ-გაზეთების შეძენისთვის.
10. სასურველია გაძლიერდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები მეორე სტანდარტში გაცემულ რეკომენდაციებთან მიმართებით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის „საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით

მეშვიდე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკონომიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის 12 მარტსი №57
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ეკონომიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ეკონომიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0311 ეკონომიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის ქ.35 /რუსთაველის ქ. 32 ბათუმი, 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- ანზორ ბერიძემ
საფუძველი-შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ფორმულირებისასა გათვალისწინებულ იქნეს მისი გაზომვადობა აქტიური ზმნების გამოყენებით;
2. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების რუკა, სადაც მოცემულია მიმართება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. ვინადაინ არსებობს მათ შორის გარკვეული ლოგიკური შეუსაბამობა სასწავლო კურსის და სწავლის შედეგების შინაარსიდან გამომდინარე და დაიხვეწოს გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების დონეების განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობა;
3. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის დახვეწა, კერძოდ მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს აღნიშნული კონცენტრაციის შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსი. ასევე მაკროეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში სასწავლო კურსის ,,თამაშთა თეორიის ეკონომისტებისათვის" ნაცვლად ისწავლებოდეს მაკროეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსი;
4. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსში გაჩნდეს შემდეგი ჩანაწერი, რომელშიც მოცემული იქნება, რომ მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემას შეარჩევს არჩეული კონცენტრაციის მიხედვით;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სილაბუსებში მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა გაზომვადობის კუთხით და გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკა;
6. რეკომენდებულია რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების ურთიერთმფარავი ხასიათის აღმოფხვრა და გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით;

7. რეკომენდებულია, როგორც ნათლად გამოიკვეთოს, ისე დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, შეფასების მექანიზმები და დაცვის პროცედურები;
8. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში დაკონკრეტდეს შეფასების სისტემის კრიტერიუმები და რუბრიკები, ბუნდოვანების თავიდან აცილების და მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით;
9. რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებასა და აკადემიური სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას;
10. რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს მაგისტრანტთა ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის ფუნქციები და მოვალეობები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და უსაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული გვაქვს აქტიური ზმნები, თუმცა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: ,,ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს: 1. აქვს ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის და მისი ინსტრუმენტების, ეკონომიკაში თანამედროვე რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნა“ - ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს კვალიფიკაციის მე-7 დონის შესაბამისად გამოვიყენეთ წყობა - აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა, თუმცა, შეიძლება წინადადება ფორმულირებული იქნას შემდეგი სახით: ,,შეუძლია ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკის კრიტიკული გააზრება და მისი ინსტრუმენტების, ეკონომიკაში თანამედროვე რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდების გამოყენება“.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, მაკროეკონომიკის კონცენტრაციის ძირითადი ბლოკიდან სასწავლო კურსი თამაშთა თეორია გადატანილი იქნება არჩევით საგნების ბლოკში და არჩევითი ბლოკიდან ძირითადში გადავა სასწავლო კურსი - ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეფორმები საქართველოში. ამასთანავე თამაშთა თეორიის თემატიკას დაემატება რამდენიმე საკითხი მაკროეკონომიკის მიმართულებით. რაც შეეხება მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციას, როგორც ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა კვლევა გვიჩვენებს, მათი ძირითადი ნაწილი დასაქმებულია მენეჯერულ პოზიციებზე. კონცენტრაცია მენეჯერულ ეკონომიკა - შეიქმნა სწორედ დამსაქმებლების თხოვნით, მათსა და კურსდამთავრებულებთან აქტიური კონსულტაციების რეჟიმში. შესაბამისად, პროგრამის სავალდებულო ბლოკის გავლისა შემდეგ, მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციის არჩევის შემთხვევაში, კურსდამთავრებულს უნდა ქონდეს ეკონომიკური რესურსების მათ შორის ადამიანური რესურსების მართვის მინიმალური კომპეტენცია მაინც, ამიტომ ვთვლით, რომ სასწავლო კურსი ადამიანური რესურსების მართვა უნდა შედიოდეს მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციაში.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებთ დაწესებულებამ განმარტა, რომ უნივერსიტეტმა მიიჩნია, რომ ლოგიკურად სამაგისტრო ნაშრომს სტუდენტი შეასრულებდა არჩეული და ათვისებული კონცენტრაციის მიხედვით, თუმცა მეტი სიცხადის შესატანად, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დავამატებთ წინადადებას - სამაგისტრო ნაშრომის თემას სტუდენტი შეარჩევს არჩეული კონცენტრაციის მიხედვით.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, შეფასების მექანიზმები და დაცვის პროცედურები დეტალურად გაწერილია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს №111-ე

დადგენილებით „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“, მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურები.

მნიშვნელოვანია ასევე მე-9 რეკომენდაცია, კერძოდ 2012 წლის აკრედიტაციის რეკომენდაციების მიხედვით ინგლისური ენის (preintermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა, ან ამოღებულ იქნეს პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით -აღნიშნული რეკომენდაცია იქნა გათვალისწინებული , მაგრამ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 14 ნოემბერის დადგენილება თანახმად ძირითადი სასწავლო კურსი „ბიზნეს ინგლისური“ (10 კრედიტი) გადატანილი იქნა არჩევითი კურსების ჩამონათვალში და დაემატა: რუსული, ფრანგული, გერმანული ენები, ვინაიდან პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: „საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული საერთო სამაგისტრო გამოცდა და ბსუ-ს მიერ ჩატარებული გამოცდა სპეციალობასა და უცხო ენაში“. წინაპირობაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება. გარე შემფასებლების მხრიდან გამოთქმული რჩევები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება სრულად.

რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპებიდან გამომდინარე, ხარისხის სამსახური ორიენტირებულია სწავლა-სწავლების პროცესის ყველა კომპონენტის მონიტორინგზე. მონიტორინგი მიმდინარეობს უწყვეტად და საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული საკითხის შესწავლის მიზნით, როდესაც სტუდენტთა გამოკითხვით გამოვლინდება ცალკეული პრობლემა. პორტალზე პერიოდულად კითხვების ცვლილებით მიიღება სრული ინფორმაცია როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზების, ასევე პროფესორთა სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის შესახებ. შედეგების დამუშავებით იკვეთება გასაძლიერებელი კომპონენტი, რომლის პრაქტიკაში განხორციელებას მიექცევა მეტი ყურადღება. დამსაქმებელთა გამოკითხვის საფუძველზე პროგრამაში შეტანილი იქნა სასწავლო კურსები, მაგრამ განხორციელების პროცესში კვლავ ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით თუ იქნება შემოთავაზებული წინადადებები, განიხილება და შეტანილი იქნება ცვლილება პროგრამის სასწავლო კურსების ჩამონათვალში, რა თქმა უნდა სწავლის შედეგების შესაბამისად. პანდემიის პერიოდში პროფესიული პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება ნამდვილად თეორიულ ფორმაში გადაიზარდა, მაგრამ მიმდინარე სემესტრში უზრუნველყოფილი იქნა მაგისტრანტების დაშვება პრაქტიკის ობიექტებზე, რომლის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის სამსახური. გასათვალისწინებელია სასწავლო კურსების სწავლების მეთოდთა გამრავალფეროვნება, სწავლის შედეგების მაღალი ხარისხით მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების პოზიცია მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით ბსუ-ში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 15. „სამაგისტრო ნაშრომის დაგეგმვის, მომზადებისა და დაცვის პროცედურების“ თანახმად სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას, კონსულტაციებით უზრუნველყოფის მიზნით, სტუდენტს ენიშნება სამეცნიერო ხელმძღვანელი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე, სტუდენტის ინტერესებისა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. სემესტრის განმავლობაში მეცნიერ ხელმძღვანელი ადგენს კონსულტაციების გრაფიკს და შეხვედრებზე განიხილავს ნაშრომის გეგმის მიხედვით დამუშავებულ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დამსაქმებელთა კვლევა, თუმცა დაუდგენელია თუ რომელი და რამდენი ორგანიზაცია

გამოიკითხა. სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ დასკვნები და რეკომენდაციები უმჯობესია უფრო ნათლად იყოს ფორმირებული. ანალიტიკური ნაწილი შესრულებულია, მაგრამ არ ხდება აღნიშნულის სრულად გადმოცემა. მნიშვნელოვანია ასევე ლიტერატურის ნაწილი, კერძოდ ლიტერატურა საკმაოდ ცოტაა და გაჯერებულია ინტერნეტ რესურსებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში დაწესებულებამ უპირველეს ყოვლისა მოახდინა საჯარო ინფორმაციის ანალიზი, ხოლო შემდეგ მოახდინა დამსაქმებლების რაოდენობრივი გამოკითხვა. შესაბამისად ძირითადი მიდგომები ჩამოყალიბდა ამ ორი კვლევის საფუძველზე.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, მათი გაფორმების და აუცილებელი კომპონენტის შესახებ ინფორმაცია დებულებაში დეტალურად არის მოცემული. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა დაბალი შეფასების მქონე ნაშრომები, თუმცა დაწესებულება განაგრძობს ამ კუთხით მუშაობას.

დაწესებულებამ საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (30 დეკემბრის) თარიღით.

საბჭომ დაწესებულების აღნიშნული შუამდგომლობა სრულიად გაიზიარა და დააკმაყოფილა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 22:30
დასრულების დრო: 23:24

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარე ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები. საბოლოოდ კი დაწესებულებას ნანესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ფორმულირებისას გათვალისწინებულ იქნეს მისი გაზომვადობა აქტიური ზმნების გამოყენებით;
2. რეკომენდებულია, გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების რუკა, სადაც მოცემულია მიმართება სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის. ვინადაინ არსებობს მათ შორის გარკვეული ლოგიკური შეუსაბამობა სასწავლო კურსის და სწავლის შედეგების შინაარსიდან გამომდინარე და დაიხვეწოს გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების დონეების განვითარების ლოგიკური თანმიმდევრობა.
3. რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურის დახვეწა, კერძოდ მენეჯერული ეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში უნდა ისწავლებოდეს აღნიშნული კონცენტრაციის შინაარსის შესაბამისი სასწავლო კურსი. ასევე მაკროეკონომიკის კონცენტრაციის ფარგლებში სასწავლო კურსის ,,თამაშთა თეორიის ეკონომისტებისათვის“ ნაცვლად ისწავლებოდეს მაკროეკონომიკის მიმართულების სასწავლო კურსი.
4. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სილაბუსში ან სამაგისტრო ნაშრომის დებულებაში გაჩნდეს შემდეგი ჩანაწერი, რომელშიც მოცემული იქნება, რომ მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის თემას შეარჩევს არჩეული კონცენტრაციის მიხედვით.

5. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.
6. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში მოხდეს სწავლის შედეგების ფორმულირების დახვეწა გაზომვადობის კუთხით და გათვალისწინებულ იქნას სასწავლო კურსის სპეციფიკა.
7. რეკომენდებულია რამდენიმე საგნის სილაბუსში სწავლება-სწავლის მეთოდების ურთიერთმფარავი ხასიათის აღმოიფხვრა და გამრავალფეროვნდეს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული მეთოდებით;
8. რეკომენდებულია, როგორც ნათლად გამოიკვეთოს, ისე დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, შეფასების მექანიზმები და დაცვის პროცედურები.
9. რეკომენდებულია, რიგ სასწავლო კურსებში დაკონკრეტდეს შეფასების სისტემის კრიტერიუმები და რუბრიკები, ბუნდოვანების თავიდან აცილების და მეტი სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით;
10. რეკომენდირებულია სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ მაგისტრანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების და სამევნიერო ლიტერატურის ინტეგრირება, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა.
11. რეკომენდებულია, ყურადღება მიექცეს მონიტორინგის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებასა და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, სამაგისტრო კვლევების ხარისხის შეფასებასა და აკადემიური სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

რჩევები:

1. სასურველია, რომ საკვანძო საკითხებზე ინფორმაციის მიღების მიზნით, რამდენიმე საგნის სილაბუსებში ჯერ აისახოს განსახილველი თემის სათაური, დასათაურების ქვეშ კი - ამ თემის ფარგლებში მოაზრებული საკითხის მოკლე ჩამონათვალი (აღწერა); ასევე, კონკრეტული კვირების მიხედვით განისაზღვროს აქტივობები;
2. სასურველია, სასწავლო კურსის „სამეწარმეო სამართალი“ სილაბუსში წინაპირობა მიეთითოს.
3. სასურველია დარგობრივი უცხო ენის სასწავლო კურსების არსებობა.
4. სასურველია პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის განხორციელების პროცესში მონიტორინგის გაძლიერება, რათა სტუდენტმა გამოიმუშავოს მისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები.
5. სასურველია სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში დიდი წილი დაეთმოს პრაქტიკული კომპონენტის იმპლემენტაციას;
6. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროგრამის შესახებ სტუდენტების ინფორმფირებულობის ხარისხის გაზრდა.
7. სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტებში ცნობადობის ამაღლებას სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, ასევე, სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებას მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებული თანამედროვე ფორმატის მიხედვით, სტუდენტთა ინფორმირებას პლაგიატისა და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესახებ პლაგიატის გამოვლენის შემთხვევაში.
8. სასურველია, გაიზარდოს მაგისტრანტთა ხელმძღვანელების რაოდენობა.
9. სასურველია გადამუშავდეს და დაიხვეწოს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების სისტემა;
10. სასურველია სამაგისტრო პროგრამაზე, არსებული ფინანსური უზრუნველყოფის ფარგლებში, მეტი წამახალისებელი ღონისძიება გატარდეს აკადემიური პერსონალის უცხოურენობრივი კომპეტენციების ამაღლების და პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობის მიმართულებით.

11. უმჯობესი იქნება სამაგისტრო პროგრამაზე, არსებული ფინანსური უზრუნველყოფის ფარგლებში, მეტი წამახალისებელი ღონისძიება გატარდეს აკადემიური პერსონალის უცხოურენობრივი კომპეტენციების ამაღლების და პროფესიული განვითარების ტრენინგებში მონაწილეობის მიმართულებით;
12. სასურველია სასწავლო კურსების რიდერები ბიბლიოთეკაში ინახებოდეს და დისტანციური სწავლების პირობებში ხელმისაწვდომი იყოს ელექტრონული ფორმით;
13. სასურველია, თვითშეფასების ანგარიშში გასაუმჯობესებელი მხარეების განსავითარებლად დაგეგმილი აქტივობები სრულად შეესაბამებოდეს გასაუმჯობესებელ მხარეებს.
14. სასურველია პროგრამის დახვეწისთვის გარე ექსპერტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების სათანადოდ გათვალისწინება, გარე შემფასებლების ანალოგი პროგრამების უცხოელი პროფესორების წინადადებებისა და რჩევების მიღება გაზიარება.
15. სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს წინა აკრედიტაციის რეკომენდაცია ბიზნეს ინგლისურის არსებობის შესახებ პროგრამის გაუმჯობესება განვითარებისთვის.
16. სასურველია, უნივერსიტეტში მოქმედმა ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესმა მოიცვას სასწავლო პროცესის სრული ციკლი, შემუშავდეს შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები;
17. სასურველია, დაიხვეწოს სტუდენტების მიერ პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემა.

საბჭოს გადაწყვეტილებით 5.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად შეიცვალა მე-5 სტანდარტის შეფასება და განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მერვე საკითხი : სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	რეგიონული კვლევები (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 30 სექტემბრის №87 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. ევროპისმცოდნეობის მაგისტრი 2. კავკასიის კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0388 ინტერდისციპლინური–მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ილია ჭავჭავაძის გამზირი 32, 0179, თბილისი, საქართველო (უნივერსიტეტის A, B, C დაD კორპუსები)
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

√ არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ელენე ჟურავლოვამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 4 ნოემბერს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა და გამოიკვეთა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 8 ნოემბერს ინტერვიუერების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. დისტანციურ რეჟიმში კომისიამ მუშაობა 9 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 17.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის წამომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება.

ექსპერტები გაეცნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხს. ჯგუფ ეთანხმება უნივერსიტეტს დასკვნის პროექტში პირველი სტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებით ფიქსირებულ ტექნიკურ უზუსტობას, რომელიც დასკვნის საბოლოო პროექტში აღმოფხვრილია და პირველი სტანდარტი შეფასებულია როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, რომ გაიზარდოს სავალდებულო კურსების ჩამონათვალი, რომელიც გაცილებით მიღწევადს გახდის პროგრამის პირველ 5 შედეგზე გასვლის შესაძლებლობას, ვინაიდან დღეს ეს მხოლოდ 2 დარგობრივი სავალდებულო კურსით - - 1. ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები და 2. კავკასიის ისტორია და პოლიტიკა და სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე მიიღწევა, ხოლო არჩევითი კურსების სისტემური მართვის აუცილებლობა ამ შედეგების უზრუნველსაყოფად აქტიურად იკვეთება. ეს შესაძლოა განხორციელდეს ერთი მხრივ, სავალდებულო კურსების ბლოკში სავალდებულო საგნების დამატებით როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან, ასევე თითოეული, როგორც ევროპისმცოდნეობის, ისე კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკში (დღეს წარმოდგენილია არჩევითი კურსების დონეზე) სავალდებულო კურსების იდენტიფიცირებით, რათა გაცილებით სისტემურ დონეზე, სავალდებულო და არა არჩევითი კურსების დონეზე, იყოს გარანტირებული ამ 5 შედეგის მიღწევის შესაძლებლობა.

2. რეკომენდირებულია, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად სავალდებულო კურსებთან - ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები / კავკასიის ისტორია და პოლიტიკა ერთად გაცილებით რელევანტურია ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკიდან შერჩეული იქნას სხვა საგანი/საგნები, რომელიც მეორე შედეგთან მიმართებით - სისტემური ცოდნა რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ) - თეორიულ-კონცეპტუალურ დონეზე სისტემური ცოდნის მეტი პოტენციალის მატარებელია და რელევანტური იქნება ორივე მიმართულებისთვის (მაგ. ევროპთმცოდნეობის ძირითადი იდეები და ცნებები, ევროინტეგრაციის თეორია და პრაქტიკა, დემოკრატიზაცია და პოლიტიკური განვითარება სამხრეთ კავკასიაში).

3. პროგრამის სწავლის შედეგებთან მეტი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ასევე რეკომენდირებულია, რომ მოხდეს ევროპისმცოდნეობისა და კავკასიის კვლევების მიმართულების სავალდებულო - არჩევითი კურსების ნაწილის იდენტიფიცირება სავალდებულო კურსების სახით. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, თითოეული მიმართულების ფარგლებში აუცილებელია მინიმუმ 10-12 კრედიტის მოცულობის საგნების განისაზღვრა, რომლის სასწავლო კურსებს გააჩნიათ სავალდებულო სტატუსი, რაც აუცილებელია კვალიფიკაციის სრულყოფილი ათვისების მიზნით. ის, თუ რომელი კურსების იდენტიფიცირება მოხდება სავალდებულო კურსების სახით, რა თქმა უნდა, თავად პროგრამის ხელმძღვანელისა და მის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განსასაზღვრია ხარისხის მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსს „ევროპისმცოდნეობის ძირითადი ცნებები და ასპექტები“ სავალდებულო სტატუსი მიენიჭოს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სისტემური ცოდნის მიწოდება რეგიონულ კვლევებში (ევროპა) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ;

5. რეკომენდირებულია, „აკადემიური წერის“ კურსი პროგრამაში პირველი ორი სემესტრის განმავლობაში იყოს შემოთავაზებული - „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტს უნდა ჰქონდეს დასრულებული სამაგისტრო საფეხურის პირველი ორი სემესტრი, ამავე დროს რეგიონული კვლევების პროგრამის მიხედვით, აღნიშნული საგანი სავალდებულო სტატუსისაა და, აქედან გამომდინარე, უნდა ისწავლებოდეს პირველი ორი სემესტრის განმავლობაში;

6. რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა „Democratization and Political

Development in the South Caucasus“, „ევროპეიზაციის მახასიათებლები და შედეგები კავკასიაში“, „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“, „თანამედროვე ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოება და მისი რელევანტურობა კავკასიისათვის“, უნდა განახლდეს გამოყენებული ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილი იქნას დარგის უახლესი და აქტუალური საკითხების შესწავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა, რომ დამტკიცებული დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის მიზნით საბჭოს სხდომა გაგრძელებულიყო 2021წ ლის 31 დეკემბერსაც. სხდომაზე დამსწრე პირებმა სრულად დაუჭირა მხარი აღნიშნულ საკითხ ს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ აღნიშნა, რომ რომ თითოეული კვალიფიკაციისთვის პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს სათანადო კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას როგორც სავალდებულო, ასევე კვალიფიკაციისთვის რელევანტური სავალდებულო-არჩევით ბლოკში გაერთიანებული კურსების ფარგლებში და სამაგისტრო ნაშრომის საფუძველზე. ასეთი სტრუქტურა მეტ მოქნილობას სძენს პროგრამას და აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას, საკუთარი კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე შეარჩიოს კურსები და სიღრმისეულად შეისწავლოს რელევანტური საკითხები. სამუშაო ჯგუფი არ ეთანხმება სამაგისტრო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტის გაზრდას. ამასთანავე, სამუშაო ჯგუფი სრულიად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სავალდებულო კურსის: “ევროკავშირის პოლიტიკა და ინსტიტუტები” სილაბუსი მკვეთრად არ ასახავდა მასში დაფარულ თეორიებს. შესაბამისად, კურსის სილაბუსის მიზნების, შედეგების, ძირითად თემებისა და კვირების მიხედვით განაწილებაში დაკონკრეტდა და გამოიკვეთა თეორიული ჩარჩოები: ინტერგავერმენტალიზმი, ნეოფუნქციონალიზმი, ლიბერალური ინსტიტუციონალიზმი, მრავალდონიანი მმართველობითი თეორიები. შესაბამისი თემების დაფარვა ხდება კურსში მოცემული ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელოების გამოყენებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაცია უნდა ატარებდეს რჩევის ხასიათს.

რაც შეეხება აკადემიური წერის სასწავლო კურსს, აკადემიური წერის კურსის სწავლების მე-3 სემესტრში შეთავაზება განპირობებულია იმით, რომ სტუდენტების დიდ ნაწილს ამ დროისთვის უკვე შერჩეული და გააზრებული აქვს/უნდა ჰქონდეს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა, იდეა. აკადემიური წერის კურსი თავის მხრივ, მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად აკადემიური წერის წესებისა და პრინციპების დაცვით. შესაბამისად, ბუნდოვანია ექსპერტების რეკომენდაცია, რომელიც ითვალისწინებს კურსის შეთავაზებას სწავლების ადრეულ ეტაპზე (პირველი ან მეორე სემესტრი), მისი სავალდებულო სტატუსიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დააზუსტა თუ რამდენად რელებანტურია 2019 წელს ჩატარებული კვლევები.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშრებით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს მათ მიერ გამოთქმული მოსაზრება დაეზუსტებინათ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა იკითხა თუ რამდენად მიღწევადი და გაზომვადია პროგრამაში ფორმულირებული სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფსდაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ პროგრამის საბოლოო შედეგების მიღწევის შესაძლებლობა იზომება სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით, რომლის ხარისხიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე გამოთხოვილი სამაგისტრო დისერტაციების შესწავლის საფუძველზე შესაბამისობაში აღმოჩნდა პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან განხორციელებული შეხვედრების პირობებში აქტიური ხაზგასმა გაკეთდა იმ უმნიშვნელოვანეს კონტრიბუციაზე, რასაც პროგრამასთან ასოცირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალი სწევს ხარისხიანი სამაგისტრო კვლევების დაგეგმვის, განხორციელებისა და წარდგენის პირობებში და მიუთითებს პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების ეფექტურ განხორციელებაზე.

პროგრამის მიზნებისა და შედეგების კრიტიკული გააზრების საფუძველზე გამოყენებული არაერთი ინსტრუმენტი (შრომის ბაზრის შესწავლა, კურსდამთავრებულების და სტუდენტების შეფასებები, საუკეთესო ანალოგიებით ხელმძღვანელობა, ხარისხის მართვის გარე ინსტრუმენტების გამოყენება), რომელიც საფუძვლად დაედო პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებას, იმსახურებს საუკეთესო პრაქტიკის სახით გაზიარებას.

შედეგების ფორმულირებეთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შედეგების რუკა მეტი დეტალიზაციით, რაც ასევე შეიცავს გაზომვის პოტენციალს. რეკომენდაციის საფუძველი გახდა შედეგი, რომელიც დაკავშრებულია სისტემურ ცოდნასთან თეორიულ ჩარჩოსთან მიმართებაში. აღნიშნული რეკომენდაციები უფრო მარტივს გახდის შედეგების მიღწევადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2019 წლის კვლევების არსებობა წარმოადგენს ტექნიკურ უზუსტობას, რაც ასევე აღინიშნა ვიზიტის დროს და შესაბამისად დაწესბულების მიერ ექპსერტებისთვის გადაგზავნილი იქნა 2021 წლის კვლევები.

დაწესებულებამ საბჭოზე დააყენა შუამდგომლობა, რომ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს ჩატარების (30 დეკემბრის) თარიღით.

საბჭომ დაწესებულების აღნიშნული შუამდგომლობა სრულიად გაიზიარა და დააკმაყოფილა.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 00:11
დასრულების დრო: 01:11

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა დასკვნაში არსებული შეფასება, დაამატა და ამოიღო ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული ზოგიერთი რეკომენდაცია და რჩევა. საბოლოოდ კი საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
2. რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად, პროგრამის სავალდებულო კომპონენტში გაძლიერდეს რეგიონულ კვლევებში (ევროპა/კავკასია) გამოყენებული თეორიების/თეორიული ჩარჩოების შესახებ საკითხების ან კურსების სახით სწავლება.
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რეფორმულირება მათი გაზომვადობის უზრუნველსაყოფად.
4. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ სწავლების დრო პროგრამაში პროგრამის შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით.
5. რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა „Democratization and Political Development in the South Caucasus“, „ევროპეიზაციის მახასიათებლები და შედეგები კავკასიაში“, „საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა რეგიონულ კონტექსტში“, „თანამედროვე ეროვნული და რეგიონალური უსაფრთხოება და მისი რელევანტურობა კავკასიისათვის“, უნდა განახლდეს გამოყენებული ლიტერატურა, რათა უზრუნველყოფილი იქნას დარგის უახლესი და აქტუალური საკითხების შესწავლა.

რჩევები:

1. სასურველია, რომ სავალდებულო საგნებს შორის ევროპისმცოდნეობის მიმართულებითაც, ისევე როგორც ეს ხდება კავკასიის კვლევების მიმართულებით, ინგლისურენოვანი კურსის შემოთავაზება.
2. რიგ სასწავლო კურსების შემთხვევაში, როგორიცაა “ნაციონალიზმი ევროპაში”, ”Transnational History” სასურველია გამოყენებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის განცალკევება;
3. ვინაიდან სილაბუსი წარმოადგენს უმთავრეს ინსტრუმენტს სასწავლო კურსების განსახორციელებლად, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძვანელობამ მოითხოვოს ერთიანი სისტემით, გაცილებით დეტალური სილაბუსები, განსაკუთრებით იმ დროს, როცა სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში ყოველკვირეული გადანაწილებით, ტექნიკურად უკვე დიფერენცირებულია საკითხავი მასალა როგორც ძირითადი/სავალდებულო, ისე დამატებითი ლიტერატურის ჩამონათვალის სახით და შესაბამისი გვერდების მითითებით.
4. პროგრამის მიერ პრაქტიკული უნარ-ჩვევების მეტად ეფექტიანი უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, პროგრამას, ორივე მიმართულებით, არჩევით სასწავლო კურსად დაემატოს პრაქტიკის კომპონენტი.
5. სასურველია აქტიურ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მექანიზმის შემუშავება.
6. სასურველია, სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა, მაგალითად თვითშეფასების ჯგუფი შედგებოდეს ასევე სტუდენტი წევრისგან.
7. სასურველია კურსდამთავრებულებთან კავშირის გაძლიერება მათთვის სხვადასხვა პროექტების და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზების პროცესში.
8. სასურველია მეტად აქტიურ რეჟიმში ჩატარდეს სხვადასხვა უცხოენოვანი საჯარო ლექცია მოწვეული დარგის წამყვანი სპეციალისტის მონაწილეობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-31 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,რეგიონული კვლევების (ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები)" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულ და 2021 წლის 31 დეკემბერს 01:15 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თიკანაშვილი ნიკა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა